

პრესომბუდსმენი A3



მხიარული სამყარო A8



ქართველი დღეგრძელები უკრაინაში A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 3 აპრილი, 2006 წელი. №71 (1223) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### აშშ და დიდი ბრიტანეთი ერაყის ხელისუფლების ფორმირების დაჩქარებას ცდილობენ

ოფიციალურმა ვაშინგტონმა და ლონდონმა უკვე არაერთხელ მოუწოდეს ბაღდადს, უმოკლეს ვადებში დაესრულებინა მთავრობის ფორმირება. თითქმის სამთვიანი მცდელობის მიუხედავად კი, შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

A2

## სამართალი

### 30 წლიანი პატიმრობა ბუშის მკვლელობის მსურველისთვის

*ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ 30 წლით პატიმრობა მიუსაჯა არაბული წარმოშობის ამერიკის მოქალაქეს, რომელსაც ბრალად ედება "ალ-ქაიდასთან" კავშირი და ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე თავდასხმის ორგანიზების მცდელობა.*

A3

## სამართალი

### ყოფილი გუბერნატორი - კონტრაბანდისტი

*ცხინვალის ადმინისტრაციაში მომუშავე ერთადერთ ქართველს, შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორს ვაჟა ხაჭაპურიძეს, რომელიც ქართველმა ძალოვნებმა კონტრაბანდის გადატანის ბრალდებით დააკავეს, გუშინ ბრალი წარუდგინეს. გუშინვე სამართალდამცველებმა სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობითაც მიმართეს.*

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 3/04 | 4/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 18 |
| ქუთაისი | 11 | 13 |
| სოხუმი | 12 | 13 |
| გორი | 11 | 12 |
| ონი | 6 | 8 |
| ზუგდიდი | 12 | 14 |
| ახმეტა | 16 | 18 |
| სამტრედია | 11 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8260 |
| ევრო | 2.2130 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.1750 |
| რუბლი | 0.0659 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სხვადასხვა | A 4 |
| ტენდერი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# სახეცვლილი რეზოლუცია

## რუსეთმა საქართველოს გაერო-დან შეუტია

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოში "თავისი გაიტანა" - აფხაზეთის საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში აღარაფერია ნათქვამი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ. გარდა ამისა, გაერო კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების როლს დადებითად აფასებს.*

31 მარტს, აფხაზეთის საკითხზე რეზოლუციის განხილვისას, უშიშროების საბჭოს მიერ, რომელზეც საქართველოს წარმომადგენლები არ დაუშვეს, რეზოლუციის თავდაპირველი პროექტიდან ამოღებულ იქნა დებულება აფხაზეთის სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში განსაზღვრის შესახებ, ე. წ. "ბოდენის დოკუმენტის" საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებული იყო საბჭოს წინა ხუთ რეზოლუციაში 2003-2005 წლებში.

თუმცა, რეზოლუციაში კვლავ დადასტურებულია საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეფასებით, **"დსთ-ს სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში მნიშვნელოვან მასტაბილიზებელ როლს ასრულებენ"**. საბჭომ აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატი 2006 წლის 15 ოქტომბრამდე გააგრძელა.

უშიშროების საბჭომ საქართველოს მოუწოდა, **"სერიოზულად მოეკიდოს აფხაზური მხარის დასაბუთებულ შეშფოთებას უსაფრთხოების თაობაზე და თავი შეიკავოს ნაბიჯებისაგან, რომლებიც შესაძლებელია აღქმულ იქნეს, როგორც მუქარა, და თავი შეიკავოს სამხედრო რიტორიკისაგან"**. აფხაზურ მხარეს კი საბჭო ურჩევს, **"სერიოზულად მოეკიდოს ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების აუცილებლობას, და საჯაროდ დაარწმუნოს ადგილობრივი მცხოვრებლები, განსაკუთრებით გალის რაიონში, რომ პატივს სცემს მათი ცხოვრების უფლებას და თვითმყოფადობას."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხელისუფლების და მეწარმეების დიალოგი ვერ შედგა

## მეღვინეების გასაჭირი

B

ნინო ნატროშვილი

*ქართველი მეღვინეები რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას ცდილობენ. თუმცა გუშინ, "შერატონ მეტეხში" პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის და ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელების შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. მასმედიისათვის დახურულ შეხვედრას ფინანსთა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის მინისტრები და სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ესწრებოდნენ.*



# ყველაზე სექსუალური ქალი

A8



# ევროპას უნდა დავუმტკიცოთ

*"24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ნიკა რურუასთან, რომელიც აშშ-ში ვიზიტის შესახებ საუბრობს. 20-28 მარტს საქართველოს დელეგაციის აშშ-ი ვიზიტის მიზანი საქართველო-ნატოს ურთიერთობები იყო. აშშ-ში გამართული მნიშვნელოვანი შეხვედრების შემდეგ ნიკა რურუა აცხადებს, რომ აშშ-ს მხარდაჭერაში საქართველოს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს. რაც შეეხება "ბებერ" ევროპას, ევროპის გულის მოსაგებად საქართველომ კულტურული "შეტევა" უნდა წამოიწყოს.*

- საქართველოს დელეგაციამ აშშ-ში საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა, სადაც საუბრის მთავარი თემა საქართველო-ნატოს ურთიერთობები იყო. როგორც მოგეხსენებათ, დასასრულს უახლოვდება საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა - IPAP-ი, რის შემდეგაც საქართველო ძალიან მნიშვნელოვან ეტაპს უნდა მიუახლოვდეს - ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმა, ე.წ. MAP-ი.

მარტში საქართველოში იმყოფებოდა ნატოს შემფასებელთა მისია, რომელთა დასკვნაზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. ეს ჯგუფი ძალიან მალე, მაქსიმუმ ორ კვირაში დაწერს საკუთარ დასკვნას საქართველოს შესახებ.

**- თქვენთვის ცნობილია, რა ჩაეწერება დასკვნაში?**

- ჩვენი პროგნოზია, რომ დასკვნა იქნება ძალიან პოზიტიური, რაც შემდეგი ნაბიჯის გადადგმაში, MAP-ის მოპოვებაში დაგვეხმარება. სავარაუდოდ, ინტენსიურ დიალოგს ჩვენ სადღაც ზაფხულისათვის მივიღებთ, ხოლო შემოდგომისათვის რეალურად ველოდებით ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის MAP-ის მიღებას. ამის შემდეგ უკვე დაიგეგმება კონკრეტული ნაბიჯები, რათა ნატოსგან საბოლოო მოწვევა მივიღოთ. MAP-ი შეიძლება გაგრძელდეს ერთი-ორი წელი, ან უფრო მეტი ხანი. კონკრეტულად დადგენილი ვადა არ არსებობს, გააჩნია ქვეყანას და ამ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ტემპს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ისრაელის მომავალი კოალიციური მთავრობა

## საზღვრები თუ პენსიები?

*ისრაელის რიგით მე-17 საპარლამენტო არჩევნები უკვე 5 დღეა დასრულდა. დასრულდა ხმების შეჯამების პროცესიც. შედეგები მეტწილად წინასწარ პროგნოზებს დაემთხვა. თუმცა, იყო მეტ-ნაკლებად სერიოზული სიურპრიზებიც. სწორედ ეს სიურპრიზებია, ინტრიგას რომ მატებს მომავალი კოალიციური მთავრობის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებს.*

ნიკა თარაშვილი
*თელ-ავივიდან*

ახალი ქმედითი კოალიციური მთავრობის ფორმირების პროცესი კვირას ისრაელის პრეზიდენტსა და ქნესეთში მოხვედრილ პარტიებს შორის მოლაპარაკებებით დაიწყო; და მაშინვე ნათელი გახდა, რომ მდგრადი კოალიციის შექმნა უაღრესად რთულ ამოცანა იქნება.

მომავალი მთავრობის სავარაუდო ხელმძღვანელი ეუდ ოლმერტი ძალიან რთული არჩევანის წინაშე დგას: ერთი მხრივ, მას შეუძლია შექმნას მდგრადი კოალიცია, დააკმაყოფილოს ყველა პარტნიორი პარტიის ინტერესები და კადენციის ბოლომდე გაძლოს. მაგრამ, მეორე მხრივ, მისი პარტიის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება შეუძლებელი გახდება - მოკლედ, არჩევანი ორია, ან შარონის მიერ დეკლარირებული ნაბიჯებით სიარული, რაც თავის მხრივ 1,5-2 წელიწადში ახალი არჩევნების პერსპექტივას აჩენს,

გაგრძელება A2 გვერდზე

# გირგვლიანის საქმეში ბრალდებულებს მფარველობენ

*"გაერთიანებული ქართული ბანკის" თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი საქმის გამოძიებას გენერალურ პროკურატურას სთხოვს.*

როგორც ოჯახის ადვოკატმა განაცხადა, იგი დღეს გენერალურ პროკურატურაში შუამდგომლობას შეიტანს. დაცვის მხარე ეჭვობს, რომ ქალაქის პროკურატურა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეს არაობიექტურად იძიებს და ამის გამო, საქმის გამოძიებას ზემდგომი ორგანოსგან მოითხოვს. ადვოკატის თქმით, მან პროკურატურას რამდენიმე დღის წინ ერთსა და იმავე მკვლელობაში ოთხი ბრალდებულის სხვადასხვა საკანში მოთავსება მოსთხოვა, რაზეც პროკურატურას რეაგირება არ მოუხდენია.

როგორც ცნობილია, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული - კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი გია ალანია, ამავე დეპარტამენტის ოფიცრები ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილური 6 მარტს დააკავეს და ისინი დღემდე ერთ საკანში იმყოფებიან, რაც კანონის უხეში დარღვევაა.

**"ეჭვი მაქვს, რომ საგამოძიებო ორგანო ბრალდებულებს, ერთად საკანში ყოფნით, აძლევს იმის საშუალებას, რომ მათ შეიმუშაონ ერთნაირი პოზიცია, პროკურატურის მიერვე წაყენებული ბრალზე პასუხის გასაცემად. გარდა ამისა, მაქვს ინფორმაცია, რომ გირგვლიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილების საკანში შეაქვთ ალკოჰოლური სასმელები და ნარკოტიკები. ამის საფუძველზე, მოვითხოვე მათთვის დაუყოვნებლივ ექსპერტიზის ჩატარება. ვინაიდან სისხლში ალკოჰოლის შემცველობის კვალი 48 საათში ქრება, ხოლო ნარკოტიკული ნივთიერების - 72 საათში, ამ ექსპერტიზის ჩატარების ვადა უკვე კარგა ხანია გასულია, თუმცა პროკურატურას არც ერთ მოთხოვნაზე რეაგირება არ მოუხდენია. ამასთანავე, არსებობს დადასტურებული ეჭვი, რომ აღნიშნულ მკვლელობაში ეჭვმიტანილ პატიმრებს საპყრობილეში უქმნიან ყოველგვარ კომფორტულ პირობებს, რათა მათ გირგვლიანის მკლვლელობაში ეჭვმიტანილი სხვა თანამდებობის პირები არ ამხილონ"** - აცხადებს დაცვის მხარე.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ადვოკატი მიიჩნევს, რომ თბილისის პროკურატურა საქმეს არაობიექტურად იძიებს.

*ინტერპრესნიუსი*

# ახალი შრომითი კანონი ოფიციალურად ძალაში შევიდა

## საფრანგეთში აქციები ახალი კანონის წინააღმდეგ არ წყდება

საფრანგეთში უკვე ფორმალურად შევიდა ძალაში კანონი, რომელიც ხელისუფლების თქმით, ყველა ახალგაზრდას დასაქმების თანაბარ შანსს აძლევს. "პირველადი დასაქმების ხელშეკრულების" სახელით ცნობილი კანონის დამტკიცებას ქვეყანაში თითქმის მთელი თვის მანძილზე მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები. ხელისუფლებისაგან განსხვავებით, სტუდენტური მოძრაობა და პროფკავშირები უფრო მეტ უარყოფითს ხედავენ ახლად მიღებულ კანონში, ვიდრე სიკეთის მომტანს. მათი თქმით, ახალი კანონი დამქირავებელს ახალგაზრდის, ფაქტორბივად, ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს. კანონის თანახმად, 26 წლამდე ახალგაზრდის პირველად დასაქმების შემთხვევაში კონტრაქტორს შეუძლია, 2 წლის განმავლობაში ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტოს ხელშეკრულება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

კანონი გუშინ გამოქვეყნდა ჟურნალ "ოფისიელ"-ში, რომელიც სამთავრობო გამოცემაა და ოფიციალურ ტექსტებს აქვეყნებს. საფრანგეთის კანონის თანახმად, თუ გამოქვეყნებულ ტექსტში არ არსებობს სპეციალური მინიშნება, მაშინ დოკუმენტი ავტომატურად შედის ძალაში გამოქვეყნების დღიდან. თუმცა, როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, ამ შემთხვევაში ახალი კანონი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან დასაქმების ახალი ხელშეკრულება პრაქტიკაში გარკვეულ დრომდე არ იქნება გამოყენებული. ეს კი საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის მიერ პარასკევს გაკეთებული განცხადებით აიხსნება.

როგორც ჟაკ შირაკმა აღნიშნა, საჭიროა ამ დოკუმენტის მეტნაკლებად საკამათო 2 პუნქტის მოდიფიცირება: შემცირდეს გამოსაცდელი ვადა ორიდან ერთ წლამდე და ჩაიწეროს კონტრაქტში, რომ მისი შეწყვეტის შემთხვევაში ახალგაზრდა უფლებამოსილი იქნება, გაეცნოს გათავისუფლების მიზეზს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა მთავრობას სთხოვა, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა პრაქტიკაში არ მოხდეს არც ერთი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება ზემოაღნიშნული მოდიფიკაციის გაუთვალისწინებლად.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მრავალკვირიან მასობრივ დემონსტრაციებს ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია, რადგან ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე მაინც წავიდა და ახალ კანონში შესწორებების შეტანა გადაწყვიტა.

პარლამენტის ქვედა პალატაში მმართველი ფრაქციის ლიდერის, ბერნარ აკუიეს თქმით, პარლამენტარები უმოკლეს ვადაში აპირებენ საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლას, რათა ახალ კანონში შეიტანონ ცვლილებები. თუმცა, მანამდე სტუდენტურ მოძრაობასა და პროფკავშირებთან კონსულტაციების გავლა აუცილებელია.

სტუდენტები და პროფკავშირების წარმომადგენლები, რომელთაც მემარცხენე ოპოზიციაც უჭერს მხარს, კვლავინდებურად ახალი შრომითი კანონის უპირობოდ გაუქმებას მოითხოვენ.

*24 საათი*

# სახეცვლილი რეზოლუცია

პირველი გვერდიდან

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი გაერო-ს უშიშროების საბჭოს 31 მარტის რეზოლუციაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს: **"ეს რუტინული რეზოლუციაა. სამწუხაროდ, რუსულმა დელეგაციამ მოახერხა ტექსტში ერთი ხაზის გამოტოვება"**.

მისი თქმით, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში რევაზ ადამიამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისა და ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელს წერილით მიმართა, რომელშიც გაკრიტიკებულია რუსეთის პოზიცია და ხაზი გაესვა იმას, რომ მიღებული რეზოლუციას სწორედ რუსეთის დელეგაციის ძალისხმევის შედეგია.

**"ამ რეზოლუციას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. უბრალოდ, ეს ცუდი პოლიტიკური ნიშანია, ეს ნიშნავს, რომ რუსეთის დელეგაციას ჰქონდა მიღებული დავალება, არ დაეშვა საქართველოს დელეგაცია საბჭოს სხდომაზე და ასეთი დეფექტური რეზოლუცია მიეღოთ"**, - აცხადებს კოტე გაბაშვილი "24 საათთან" საუბარში.

**"ეს არის დიპლომატიური კბენა,"** - ასე აფასებს რუსეთის ამგვარ ნაბიჯს კოტე გაბაშვილი და აცხადებს, რომ მნიშვნელოვან რეალურ შედეგს კონფლიქტის მოგვარების პროცესზე ის ვერ გამოიღებს.

მისი თქმით, ამჟამად მთავარი საკითხი "საგზაო რუკაზე" - სამშვიდობო გეგმაზე მუშაობაა, რომელიც საქართველოს მთავრობამ მაისისთვის უნდა წარმოადგინოს. ხოლო ივნისში პარლამენტმა უნდა განიხილოს მთავრობის წინადადებები აფხაზეთიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით.

კოტე გაბაშვილის განმარტებით, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით, პარლამენტი დაავალებს მთავრობას ღონისძიებების გატარებას ამ მიმართულებით, თუმცა, "არარეალისტურ" ნაბიჯებს არ მოსთხოვს.

**"ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ, რომ ლეგიტიმური გავხადოთ სამშვიდობო ოპერაციის გაუმჯობესების პროცესი. ისევე როგორც მოვახერხეთ რუსული ბაზების გაყვანის პროცესის ლეგიტიმაცია შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერით,"** - აცხადებს კოტე გაბაშვილი.

**"ეს არის უცნაური რეზოლუცია და სერიოზული გამარჯვებაა რუსული დიპლომატიის,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში "რესპუბლიკელი" კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი. მისი აზრით, **"გაერო რუსეთის, აშშ-ს და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სხვა სახელმწიფოების სათამაშო მოედანია. აშშ მხარს ვერ დაგვიჭერს გაერო-ში რუსეთის წინააღმდეგ, ვინაიდან იქ რუსეთთან სხვა, მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. ამერიკა მხარს დაგვიჭერს თბილისში, მაგრამ არა გაერო-ში"**.

პაატა ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ ბოლო რეზოლუციიდან, რუსეთის ინიციატივით, ამოღებულია თავად გაერო-ს მიერ შემუშავებული "ბოდენის დოკუმენტის" მხარდაჭერა სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილების განაწილების თაობაზე, რომელსაც აქამდე თავად რუსეთი უჭერდა მხარს გაერო-ს უშიშროების საბჭოსთან ერთად. ზაქარეიშვილის თქმით, **"ბოლო ნახევარი წელია, რუსეთმა ამ დოკუმენტის ტორპედირება დაიწყო"**.

**"დამაფიქრებელია სამშვიდობო ძალების როლის შეფასება. ამით გაერო გვეუბნება - არც იფიქროთ სამშვიდობო ძალების გაყვანაზე. ჩვენი ქმედებები ცოტა გონივრული უნდა იყოს, მათ შორის სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხში. ახლა ყურადღების გადატანა მოგვიწევს სამშვიდობოების გასვლის საკითხიდან გაერო-ს რეზოლუციაში ამოღებული ფორმულირებების დაბრუნებაზე. და თუ დავაბრუნებთ, ეს უკვე გამარჯვება იქნება"**, - აცხადებს ზაქარეიშვილი.

# ევროპას უნდა დავუმტკიცოთ

პირველი გვერდიდან

აშშ-ში ვიზიტისას საქართველოს დელეგაციაში ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე. ჩვენი ვიზიტი მთლიანად მიეძღვნა იმას, რომ მოგვეპოვებინა აშშ-ს მხარდაჭერა MAP-ის წარმატებულად აღებაში. მინდა გითხრათ, რომ ამ ვიზიტის დროს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ აშშ-ს მხრიდან ჩვენ სრული მხარდაჭერა გვექნება. თუმცა, ცხადია, ერთი ქვეყანა ვერაფერს წყვეტს. ნატო-ში 26 მოკავშირე ქვეყანაა გაერთიანებული, რომლებიც ყველა გადაწყვეტილებას კონსესუსის საფუძველზე იღებენ.

**- ანუ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არიან ქვეყნები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას?**

- წინასწარ არაფერს ვიტყვი, რათა ამ ქვეყნის წარმომადგენლები არ გავაუცხოვოთ. თავს შევიკავებ დაკონკრეტებისგან, მაგრამ ვიტყვი, რომ აუცილებელია ინტენსიური მუშაობა ევროპასთან.

ახლო მომავალში ევროპის სახელმწიფოებში იგეგმება ინტენსიური ვიზიტები, სამუშაო შეხვედრები როგორც ჩვენი მხრიდან, ისე მათი ვიზიტები საქართველოში. ევროპელები ადგილზე გაეცნობიან სიტუაციას და საკუთარი თვალით ნახავენ საქართველოში განხორციელებულ იმ რეფორმებს, რომელთა შესახებაც მათ არაერთხელ გაუგიათ ჩვენგან და ჩვენი ამერიკელი პარტნიორებისგან. ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ დასავლეთ ევროპაზე. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპას და ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ისინი ამ საქმეში ჩვენი სერიოზული მხარდამჭერები არიან. საჭიროა მეტი მუშაობა დასავლეთ ევროპაში. აშშ-ში შეხვედრების დროს ხაზი გაესვა იმასაც, რომ გარდა სამხედრო და პოლიტიკური ასპექტებისა, ჩვენ აქცენტირება უნდა გავაკეთოთ დასავლეთ ევროპასთან ჩვენს კულტურულ და ისტორიულ კავშირებზე. ხშირად სკეპტიკოსთა ნაწილი, არ დავაკონკრეტებ ვინ არიან ისინი, საქართველოს მიმართ არგუმენტად იყენებენ იმას, რომ თითქოს ქართველები არ არიან ევროპელები და რომ საქართველო გეოგრაფიულად არ არის ევროპის მთლად უდავო ნაწილი.

ამერიკელმა მეგობრებმა გვირჩიეს, რომ ჩვენი ევროპული იდენტურობის დემონსტრირება, პირველ რიგში, კულტურული ექსპანსიით მოვახდინოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მკაფიოდ უნდა გავუსვათ ხაზი საბერძნეთთან და რომთან საქართველოს ისტორიულ კავშირებს; უნდა მოვახდინოთ იმ უტყუარი მტკიცებულებების პოპულარიზაცია, რომლებიც ცხადყოფს ჩვენს ისტორიულ კავშირებს ამ ქვეყნებთან და ზოგადად ძველ დასავლეთთან; მსოფლიოს უნდა გავაცნოთ ჩვენი არქეოლოგიური ნიმუშები თუ სხვა კულტურული მემკვიდრეობა და ამით ხაზი გავუსვათ, რომ საქართველო ევროკულტურის ნაწილია და მხოლოდ დროებით, იძულებით იყო იზოლირებული მსოფლიოს ამ ნაწილისგან. ევროპას უნდა დავუმტკიცოთ, რომ საქართველოს დღევანდელი პოზიცია - დაუბრუნდეს ევროპას - აბსოლუტურად მტკიცე და ურყევია. ნატოში გაწევრიანებაც ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რათა საქართველო თავის ისტორიულ ოჯახს დაუბრუნდეს.

ევროპასთან ამ მიმართულებით მუშაობის ინტენსიფიკაცია ძალიან მალე დაიწყება. ჩვენ ვიმუშავებთ როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული კუთხით. ევროპაში მრავალრიცხოვანი ვიზიტები იგეგმება. ამ ვიზიტებს განახორციელებს როგორც თავად პრეზიდენტი, ისე პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტარები, საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერი და მთავრობის სხვა წევრები. ჩვენი კულტურის ნიმუშები ევროპის ქვეყნებში იმოგზაურებს. უახლოესი ღონისძიება ეს არის ფიროსმანის გამოფენა უკრაინაში, რომელსაც ჩვენი კულტურის მინისტრი უხელმძღვანელებს. ანალოგიური რამ მოხდება ევროპის სხვა დედაქალაქებში.



ნიკა რურუა.

**- ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური დაპირისპირება რაიმენაირად ხომ არ აისახება საქართველოს ამ საგარეო გეგმებში?**

- შიდაპოლიტიკური ვითარება და ის რეფორმები, რომლებიც დღეს ტარდება, პოზიტიურია, როგორც არასდროს. ყოველდღიური პოლიტიკური პერიპეტიები კი აბსოლუტურად არ აფერხებს და ვერ შეაფერხებს ამ პროცესს, ამდენად ამ მიმართულებით პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების, თავისუფალი მარკეტის განვითარების, კორუფციასთან ბრძოლის მაჩვენებლები სერიოზულად გაიზარდა. ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და სხვები საქართველოში მიმდინარე რეფორმებს დადებითად აფასებენ. ეს შეფასებები ძალიან გვეხმარება ჩვენი მიზნის მიღწევაში. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ კინკლაობას, რასაც მოსახლეობა ყოველდღიურად უყურებს, არის ქარიშხალი ჭიქაში, რომელიც ჩვენი განვითარების ცენტრალურ ვექტორს ვერაფერს დააკლებს.

ის, რასაც დღეს ვხედავთ, არის მარტივი ჭეშმარიტების არგაგების და ვერგაგების სინდრომი. დემოკრატია არის სისტემა, სადაც ზოგი იგებს და ზოგი აგებს. დემოკრატიული პროცესების შედეგად უმცირესობაში აღმოჩენილი ხალხი უნდა შეეგუოს, რომ უმცირესობაშია, ოპოზიციაშია... დემოკრატიის პირობებში ოპოზიციას საკუთარი აზრის აბსოლუტურად თავისუფლად გამოხატვა შეუძლია, მაგრამ ამ აზრს უმეტეს შემთხვევაში ანგარიში არ ეწევა. უმცირესობა უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ უმრავლესობა ვერ გახდება, ვიდრე არჩევნებს არ მოიგებს. ყველაფერი, რაც ხდება, ძალიან ახალგაზრდა დემოკრატიის სახადია, რომელსაც აუცილებლად გადავლახავთ. არ შეიძლება ოპოზიცია ებრძოდეს სახელმწიფოებრიობას და არა ხელისუფლებას მხოლოდ იმიტომ, რომ უმცირესობაშია; არ შეიძლება ოპოზიცია მხარს უჭერდეს ციხის ბუნტს, რადგან მას არ მოსწონს ისევ და ისევ ის ფაქტი, რომ უმცირესობაშია. სამწუხაროა, მაგრამ დღევანდელ საქართველოში შულავერის კომიტეტის რაღაც მსგავსი არსებობს...

# აშშ და დიდი ბრიტანეთი ერაყის ხელისუფლების ფორმირების დაჩქარებას ცდილობენ

ერაყის ხელისუფლების ფორმირების პროცესის განსახილველად ბაღდადს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი და დიდი ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენელი ჯეკ სტრო ეწვივნენ.

საინფორმაციო სააგენტო "ესოშიეითიდ პრეს"-ის მიერ გავრცელებული ცნობებით, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებების მაღალჩინოსნები ქვეყნის პრეზიდენტს ჯალალ თალაბანის, პრემიერ-მინისტრს იბრაჰიმ ალ-ჯააფარისა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდებიან.

რაისი ბაღდადს დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ ეწვია. რაისისა და სტროს ერთობლივი ვიზიტის შესახებ სხვა ანალოგიური შემთხვევების მსგავსად წინასწარ არ იყო ინფორმაცია გავრცელებული.

ერაყში საპარლამენტო არჩევნები გასული წლის 15 დეკემბერს ჩატარდა, მაგრამ მას შემდეგ ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა ვერ შეძლეს მთავრობის ფორმირების დასრულება. ამ რთულ პროცესში ყველაზე მტკივნეული საკთხი პრემიერ-მინისტრის პოსტი და შესაბამისი კანდიდატურის გამოძებნაა. პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი, რომელთა შორის რადიკალური შიიტური მოძრაობის ლიდერი მოქთადა ას-სადრიცაა, კაბინეტის ამჟამინდელ მეთაურს უჭერს მხარს, სხვები კი, კერძოდ, შიიტების ნაწილი, სუნიტები და ქურთები იბრაჰიმ ალ-ჯააფარის კანდიდატურის წინააღმდეგნი არიან.

ოფიციალურმა ვაშინგტონმა და ლონდონმა უკვე არაერთხელ მოუწოდეს ბაღდადს უმოკლეს ვადებში დაესრულებინა მთავრობის ფორმირება. თითქმის სამთვიანი მცდელობის მიუხედავად კი, შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

როგორც ერაყში აშშ-ს სრულუფლებიანმა ელჩმა ზალმაი ხალილზადემ აღნიშნა, პროცესის გაჭიანურება ყველაზე მეტად ტერიორისტებს აძლევს ხელს, რომლებიც სამოქალაქო ომის პროვოცირებას ცდილობენ. სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად კი აუცილებელია ერაყს ეროვნული თანხმობის საფუძველზე შექმნილი მთავრობა ჰყავდეს, სხვაგვარად ამ საფრთხის დაძლევის გზა არ არსებობს.

*24 საათი*

## მოკლედ

### სერტიფიცირება გრძელდება

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეობის მსურველთა სერტიფიცირება გრძელდება. იგი ტესტური გამოცდის სახით ტარდება. ტესტირება 1 აპრილს დაიწყო და 4 აპრილს დასრულდება. როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, ამ პროცესში მონაწილეობის სურვილი 872-მა მოქალაქემ გამოთქვა. სერტიფიკატის მოსაპოვებლად მათ 100 კითხვიდან მინიმუმ 70-ს სწორად უნდა უპასუხონ.

სერტიფიკატის მიღების შემდეგ მოქალაქეებს უფლება ეძლევათ, საარჩევნო ადმინისტრაციის ვაკანსიებზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა. საარჩევნო კომისიის პროფესიულ ნიშნით დაკომპლექტებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეობის მსურველთა სერტიცირება ცესკომ 2005 წელს უკვე ჩაატარა. იგი უფლებამოსილია, მსგავსი ღონისძიება წელიწადში ერთხელ განახორციელოს.

მორიგი სერტიფიცირების წლის დასაწყისში ჩატარება იმით არის განპირობებული, რომ კონკურსანტების ნაკლებობის გამო ცესკოს რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისია დაუკომპლექტებული დარჩა. **მედიანიუსი**

### უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი აღარ შედგება

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი უკრაინაში, რომელიც 3-5 აპრილისთვის იყო დაგეგმილი, აღარ შედგება. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სააკაშვილის მაგივრად კიევში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გაემგზავრება. ბეჟუაშვილი კიევში დღეს ჩავა და თავის უკრაინელ კოლეგას ბორის ტარასიუკს შეხვდება. ისინი ხელს მოაწერენ ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

4 აპრილს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი დაესწრება უკრაინაში საქართველოს დღეების დახურვის საზეიმო ცერემონიალს, რომელიც ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება. 5 აპრილს გელა ბეჟუაშვილი კიევში საზეიმოდ გახსნის ცნობილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნახატების გამოფენას.

საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში 5 აპრილს, საღამოს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

### 2007 წლიდან რუსული პენსიის გაცემა შეწყდება

აფხაზეთში მცხოვრებ პენსიონერებზე, რომლებსაც ძველი საბჭოთა პასპორტები აქვთ, 2007 წლიდან რუსული პენსიის გაცემა შეწყდება. ამის შესახებ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა, ლეონიდ ლაკერბაიამ საპასპორტო სამსახურების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, რუსული პასპორტების არქონის გამო, 1000-მდე მოქალაქე რუსულ პენსიას ვერ იღებს, მომავალი წლიდან კი უფრო მეტს შეუჩერდება. ლაკერბაიას განცხადებით, 1500 პენსიონერი თანხას საბჭოთა პასპორტში გაკეთებული შტამპის საფუძველზე იღებს, რითაც მათი რუსეთის მოქალაქეობა დასტურდება. დე-ფაქტო პრემიერმა საპასპორტო სამსახურების ხელმძღვანელებს მოუწოდა გაგებით მოეკიდონ მოქალაქეების პრობლემებს და დაეხმარონ მათ დოკუმენტების დროულად გაფორმებაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ისრაელის მომავალი კოალიციური მთავრობა

პირველი გვერდიდან

ან ფაქტობრივი უმოქმედობა, რაც თავის მხრივ მომავალ არჩევნებში ისედაც ამორფულ პარტიას წარმატების შანსებს უსპობს.

კვირას პრეზიდენტმა კაცავმა რამდენიმერაუნდიანი კონსულტაციები გამართა გამარჯვებულ პარტიებთან, რათა გაერკვია, თუ ვის უნდა დაევალოს კოალიციური მთავრობის ფორმირება. მოლაპარაკებები კოალიციის შესახებ ვერ დაიწყება მანამ, ვიდრე მოშე კაცავი გამარჯვებული პარტიის ლიდერს (ამ შემთხვევაში ეუდ ოლმერტს) ოფიციალურად არ დაავალებს მთავრობის ფორმირებას.

გუშინ ბეით-ჰანასიში გამართული შეხვედრისას კაცავმა "კდიმას" წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისი სურვილია, რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბდეს სტაბილური მთავრობა, და რომ არც ერთ პარტიას არ მისცემს კოალიციის შესახებ მოლაპარაკებებში დროის გაწელვით უპირატესობის მოპოვების საშუალებას.

თავის მხრივ "კადიმას" წევრებმა რონი ბარ-ონმა და ჰაიმ რამონმა აღნიშნეს, რომ არც ერთი სიონისტური პარტია არ იქნება შეზღუდული კოალიციაში შესვლისაგან, თუმცა, მანამდე ამ პარტიამ "კადიმას" პლატფორმისადმი თავისი ერთგულება უნდა დაამტკიცოს.

ბუნებრივია, კოალიციაში შესვლის ყველაზე დიდ შანსი მეორე ადგილზე გასულ "ავოდას" აქვს. რასაც, სხვათა შორის, მოელიან კიდეც. თუმცა უკანასკნელ მომენტში ვითარება ცოტა დაიძაბა.

საქმე ისაა, რომ "ავოდას" ლიდერი, ამირ პერეცი დაუყოვნებლივ არ გამოეხმაურა ეუდ ოლმერტის მოწოდებას დიალოგისკენ, რაც, ბუნებრივია, მისი მხრიდან უკეთეს გარიგებაზე წასვლის მცდელობად იქნა აღქმული. "კადიმაში" განაცხადეს, რომ პარტია ""ავოდას" ლიდერი მტვირთავთა პროფკავშირების თავმჯდომარესავით იქცევა". საპასუხოდ პერეცმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა და ოფიციალურად გააფორმა ალიანსი "მერეცთან". კადიმას წარმომადგენლები ამირ პერეცის ჯიუტობას "ინფანტილიზმად" აფასებენ.

**"ჩვენ ვეცდებით, ძირად დავუსვათ ამირს ასეთი საქციელი,** - აცხადებენ "კადიმაში", - **რისი იმედი აქვს მას, რომ ოლმერტი ჰისტადრუტში (ისრაელის პროფკავშირები, რომელსაც პერეცი ავოდას თავმჯდომარეობამდე ხელმძღვანელობდა) მივა? იგი საკუთარ თავს აყენებს ზიანს. . . დროის საწინააღმდეგოდ მუშაობს."**

"ავოდას" ლიდერის პრეტენზიები სრულიად გასაგებია. მას მხოლოდ 9 მანდატით ნაკლები აქვს, ვიდრე "კადიმას". თანაც მერეცის მიმხრობით კიდევ 5 მანდატს იმატებს. პარტიებს შორის "დავაში" გადამწყვეტ როლს იძენს სოციალური შეფერილობის "გილის" (პენსიონერების) 7 ხმა. ჯერჯერობით პენსიონერები მიუმხრობლობას არჩევენ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ძირითადად პროფკავშირების ყოფილი ვეტერანებით დაკომპლექტებულ პარტიას, არიელ შარონის ერთგული მეგობარი უდგას სათავეში. ასე რომ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თუმცა, ყველაფერი შესაძლოა, გაცილებით ბანალურადაც დასრულდეს. პერეცს სურს, რომ ფინანსთა მინისტრის პორტფელი ჩაიგდოს ხელში, მაშინ როცა "კადიმას" ლიდერები მას მხოლოდ თავდაცვის მინისტრად მოიაზრებენ. **"თუ პერეცი ჯიუტად განაგრძობს ფინანსთა მინისტრის თანამდებობის მოთხოვნას, მას მოუწევს მხოლოდ ოპოზიციის ლიდერობას დასჯერდეს,** - აცხადებს "კადიმა", - **ჩვენ გვინდა "ავოდა" (კოალიციაში), თუმცა გაცილებით იოლი იქნება პერეცის გარეშე მართვა".**



ისრაელელი მიმომხილველები შიშობენ, რომ ცენტრისტებსა და მემარცხენეებს შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გააძლიერებს რადიკალური რელიგიური პარტია "შას"-ის ისედაც მყარ პოზიციებს. "ლიკუდთან" ერთად 12 ხმით მესამე ადგილზე გასული რელიგიური სეფარდების პარტია, უკვე ითხოვს შეღავათებს ორთოდოქსი იუდეველებისთვის, რომლებიც, სხვათა შორის, არ მუშაობენ და ისედაც სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმყოფებიან.

ერთადერთი, რაც აშკარა ხდება, ისაა, რომ "ლიკუდსა" და "ისრაელ ბეითენუს" ("ჩვენი სახლი ისრაელია") მთავრობის დაკომპლექტებაში მონაწილეობის მიღების თითქმის არავითარი შანსი არა აქვთ. ეს ორი პარტია არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე ოპოზიციაში მოიაზრებს თავს. თუმცა, ოპოზიციურ მემარჯვენე ბანაკშიც გასარკვევი რჩება მთავარი საკითხი: ვინ ჩაუდგება ოპოზიციას სათავეში - დამარცხებული იმიჯის ბენიამინ ნეთანიაჰუ ("ლიკუდი") თუ "პოლიტიკურ ზენიტში" მყოფი ავიგდორ ლიბერმანი ("ისრაელ ბეითენუ").

მოკლედ, დღეისათვის ისრაელის მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაში გაურკვევლობა უფრო მეტია, ვიდრე ლოგიკაზე დაფუძნებული რეალური პროგნოზები; და არიელ შარონის წარმატების მთავარი ფაქტორი - ისრაელის საზღვრების ცალმხრივი დაწესება, შესაძლოა, ამ კადენციის პერიოდშიც შეუძლებელი გახდეს. ნათელია, რომ მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის შემთხვევაში, მეტი პრიორიტეტით სწორედ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებები ისარგებლებს და არა არაპოპულარული პოლიტიკური ნაბიჯები. მემარცხენეებმა ხომ თავიდანვე განაცხადეს, რომ მათი პრიორიტეტი პენსიებია და არა ცალმხრივად დაწესებული საზღვარი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

*გაუმარჯოს ქურდულ მენტალიტეტს! პრისტუპნიკი გოგოები.*
***ტელეკომპანია "202"-ის ეთერში გამოქვეყნებული SMS***

*- კაცო, შენი პროფესია რომ გაყიდვაა, იმათი პროფესია ქურდობაა. რა ქნან, როგორ ირჩინონ თავი, თუ არ იქურდეს?*
***ერთი თბილისელი გარე მოვაჭრის აზრიდან, ციხეში მომხდარი ბუნტის შესახებ***

ნოდარ ლადარია

შესაძლოა, ეს ორი ეპიგრაფი სრულიად ადეკვატურად ვერ ასახავს ქართველი საზოგადოების განწყობას, მაგრამ რადგან მსგავსი აზრების გასაგონად არც ერთ ჩვენთაგანს შორს წასვლა არ უხდება, ის მაინც უნდა ვთქვა, რომ ციხეში მომხდარი ბუნტისადმი მიძღვნილ შეკრებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ამ სიტყვებით არ უნდა დაეწყო: **"არავის არ სჭირდება ახსნა-განმარტება.."**. ახსნაც საჭიროა და განმარტებაც, თორემ ჩვენი ხალხის ფრთიანი ფანტაზიისა რა დაიჭერს: წვიმასავით წამოვა და ერთმანეთს მიეყრება თუ რუსული მატრიოშკებივით ერთმანეთში ჩაეწყობა ყალბი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერპრეტაციები. აი, ერთი მაგალითი:

**"არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ სანდრო გირგვლიანის თემა პირველად ტელეკომპანია "იმედმა" გააშუქა. ამ სიუჟეტის სიმართლეზე პასუხისმგებელი პირადად მე ვარ. სწორედ ეს გახდა ხელისუფლების უკმაყოფილების მიზეზი, რის გამოც ჩემი კომპანიების შესწავლა დაიწყეს".**

ეს სიტყვები "24 საათმა" 30 მარტს გამოაქვეყნა და მათი ავტორი, "არც ციტა და არც ბევრი" (თვითონ ზუსტად ასე ლაპარაკობს ქართულად), **ბადრი პატარკაციშვილია.**

ჯერ გამონათქვამის პირველი ნაწილი გავარჩიოთ. რანაირად შეიძლება იყოს ბ-ნი პატარკაციშვილი პასუხისმგებელი სიუჟეტის სიმართლეზე? იქნებ ის უნდოდა ეთქვა, სიუჟეტის გაშვებაზე ვაგებ პასუხსო? ასე გასაგები მაინც იქნებოდა. მაგრამ არა, სიმართლეზე. მგონი ამით მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ საკმაოდ მიახლოებითი წარმოდგენა აქვს იმ საქმეზე, რომლის წამყვანადაც გვევლინება საქართველოში.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მელოდრამისადმი გამოხატული ტენდენცია უკვე ამჯერად დაეტყო თვით შემოქმედებით კოლექტივსაც. როგორც ეტყობა, ტელეკომპანია "იმედი" ამ ბოლო დროს სპეციალიზდება რეტროსპექტივაზე შელამაზებულ, სპეციალურად შექმნილ სიუჟეტებზე. აი, მაგალითად, 1 აპრილს, კვირას, **ლევან პირველიც** გამოჩნდა "დროების" ეთერში: კეთილშობილი ქალია, უწყინარი თვალები, ცხოვრების ახალგაზრდა თანამეზარი და მათი საყვარელი ნაცვალი. გულისამაჩუყებელი სურათი — ალბათ ამ სიუჟეტის "სიმართლეზე" პასუხს ნამდვილად თვითონ ბადრი პატარკაციშვილი აგებს. სად გაქრა ლევან პირველის ვულგარული თავხედობა, რომლითაც ასე გაგვაოცა ეპოქის ბოლო თვეებში?! ჩვენს თვალწინაა ბედკრული საქართველოს უცხოეთში გადაკარგული შვილი, რომელიც იმ წყეული შორეთიდანაც არ თმობს მამულზე ზრუნვას. ეჰ, ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს მოახერხებდა, "დიდი მეუბეა" რომ არ უშლიდეს!

ჰო, "დიდი მეუბეას" თემა ცალკე საკითხია — ამჯერად ლევან პირველმა საქართველოს პრეზიდენტი, **მიხეილ სააკაშვილი** მოიხსენია და კიდევ ერთხელ გაიმეორა შეღებილი ფასადების უკვე მოყირჭებული მოტივი. ფასადების მკვეთრი ფერები თბილისურმა მზემ უკვე გახუნა და, როგორც მხატვრები იტყვიან, დასვა. ჩვენ კი საქმეს უნდა მივხედოთ: დადგა დრო მხედველობის კუთხის შეცვლისა. შევხედოთ ვითარებას მარტივად, ამისთვის კი ზემოთ მოყვანილი ციტატის მეორე ნაწილი მართლაც რომ მისწრებაა: **"სწორედ ეს გახდა ხელისუფლების უკმაყოფილების მიზეზი, რის გამოც ჩემი კომპანიების შესწავლა დაიწყეს"**. რაო, ჯერ არ ჰქონდათ შესწავლილი? — გაუმართლებელი შეცდომა თუ დაუდევრობა ხელისუფლების მხრიდან! განა ყველანი ერთად არ აცხადებდით, ბიზნესი გამჭვირვალე უნდა იყოსო?

ისე კი, ხელისუფლებას კი არა, ჩვენც არ გვაწყენდა ბ-ნი პატარკაციშვილის ბიზნესის შესწავლა. მე, მაგალითად, ვარ "თიბისი ბანკის" კლიენტი; მაქვს "კოკა-კოლასადმი" არაჯანსაღი მიდრეკილება, რის გამოც ხშირად მიწევს "ბორჯომის" სმა; არ ვკარგავ იმედს, რომ დადგება დრო, როცა შევძლებ "ცენტრ-პოინტის" ან "აქსისის" აშენებული ბინის შეძენას. მაგრამ რა ნელილო აქვს ჩემს ცხოვრებას ბ-ნ პატარკაციშვილს? მეხსიერებაში იგი მხოლოდ "იმედის" ეთერში გადმოცემული ტელეფილმით თუ შემორჩა, უფრო ზუსტად კი იმ საოცარი ფაქტის წყალობით, რომ საქართველოს "წამყვან ბიზნესმენს" სახლში სამუშაო კაბინეტი არ გააჩნია. მართლაც, მაგის მუშაობა ხომ მობილურზე გადარეკვა-გადმორეკვაა, ჰოდა, ამას, აბა, რა კაბინეტი უნდა! — რაც არ უნდა, არცა აქვს. ჭეშმარიტად სამაგალითო მომჭირნეობაა.




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ერთი კია: მდიდარი კაცი მაინც მშრომელად წარმოგვიდგენია, მაგრამ ეს წარმოდგენა, როგორც ეტყობა, დამპალი კაპიტალისტური გადმონაშთია. ამ გადმონაშთს არა მარტო მეორე ეპიგრაფში მოხსენიებული "გარე მოვაჭრე", არამედ ქართული პოლიტიკური ოპოზიციაც არ იზიარებს, თუმცა კი საკითხის ინტელექტუალური მონელება მაინც დაბალ დონეზეა, ასე ვთქვათ, ვერ ქაჩავს — აბა, სხვანაირად ხომ არ იარსებებდა ეს უცნაური წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, მთავრობას უკიჟინებენ, ხალხს მათხოვრულ პენსიებს ურიგებო, მეორე მხრივ, გაჰკივიან, ციხეები წვრილმანი ქურდებითაა სავსე და არა საშიში ბანდიტებითო. სულ მარტივი ანგარიშია საჭირო იმის გასაგებად, რომ თუ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მათხოვრული ანაზღაურების ამარაა, ოცი ლარის ქურდობაც კი მძიმე დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მარტივი აზროვნებაც ჩვენში ერთობ იშვიათ ხილად ქცეულა. სულ უფრო უაზრო და როყიო ლაპარაკით ვართ გართული. მოლაყბეები კი, როგორც ოდითგანვეა ცნობილი, ჯაშუშების ადვილი ლუკმა ხდებიან...

ერთი პირობა გამიკვირდა: კაცი გამოდის მეტროდან, მიდის სამსახურში... თურმე ნუ იტყვით, ჯაშუში ყოფილა! სატელეფონო საუბრების მოსმენა და ფარული თვალთვალი თანამედროვე ტექნოლოგიის მეტად ძვირფასი მონაპოვარია. მაგრამ როგორც კალკულატორი ემტერება ზეპირი ანგარიშის უნარს, ასევე ტექნოლოგიური მიღწევების იმედზე ყოფნაც გადააჩვევს ხოლმე აზროვნებას კონტრდაზვერვის ქორებს. საქართველოში კი იმის გასაგებად, ვინ ვის ინტერესებს ემსახურება, სულაც არაა საჭირო საძინებელ ოთახებში თუ სამსახურებრივ კაბინეტებში "ჟუჩოკების" დაყენება — ათასგზის მითქვამს, რომ ინტერნეტში შესვლა სრულიად საკმარისია. წავიკითხოთ, მაგალითად, შემდეგი ტექსტი:

**თქვენო აღმატებულებავ, დიდად პატივცემულო ალექსანდრ გრიგორიევიჩ!**

**გულითადად გისურვებთ დამაჯერებელ გამარჯვებას რესპუბლიკა ბელარუსში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში.**

**იხილა რა ამ პოსტზე თქვენი წინანდელი შრომის შთამბეჭდავი შედეგები, რესპუბლიკის მრავალეროვანმა მოსახლეობამ კვლავ ნდობა გამოიჩინა თქვენს მიმართ და ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა თქვენს კანდიდატურას.**

**თეთრი რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მრავალი მოვლენითაა მდიდარი. მაგრამ ყოველგვარ გამოცდასა და გარემოებებში მისი მცხოვრებლები ამჟღავნებდნენ თავისი მიწისათვის მედგარი ბრძოლის, უძველეს ტრადიციათა ერთგულების, სულიერი მდგრადობის, გულისხმიერებისა და სიკეთის მაგალითებს.**

**როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, სიხარულით ვაღიარებ, რომ ბელარუსის სასულიერო და საერო ხელმძღვანელობას შორის მეტად კეთილი ურთიერთობა დამკვიდრდა, რაც გამოიხატება წარსულში დანგრეულ სიწმინდეთა აღდგენის, საზოგადოების სულიერი აღზრდის, ქრისტიანული განათლებისა და ზნეობრივი სიჯანსაღისთვის ერთობლივ ზრუნვაში. აშკარა და წონადია თქვენი პირადი წვლილი ესოდენ კეთილ და მნიშვნელოვან საქმეში.**

**სასიხარულოა, რომ დღეს ბელარუსის რესპუბლიკა წარმატებით სძლევს ყველა დროებით სიძნელესა და განსაცდელს, ხოლო ქვეყნის ხელმძღვანელობა საქმით ამჟღავნებს ადამიანებზე ზრუნვას, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ღირსეული ცხოვრებისა და შრომისათვის, ავითარებს ქალაქისა და სოფლის ინფრასტრუქტურას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთხოების საკითხებს, მშვიდობისა და საზოგადოებრივი თანხმობის შესაქმნელად შრომას. ამაში დარწმუნების შესაძლებლობა მომეცა ბელარუსში მრავალრიცხოვანი სამოძღვრო ვიზიტის დროს თქვენს აღმატებულებასთან, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან და რესპუბლიკის სტუმართმოყვარე მოსახლეობასთან ურთიერთობის შედეგად.**

**იმედს გამოვთქვამ, რომ შემდგომშიც განვითარდება საეკლესიო-სახელმწიფოებრივი თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს მოძმე ბელარუსი ხალხის სულიერ ერთობასა და ზნეობრივ და მატერიალურ კეთილდღეობას.**

**გისურვებთ, დიდად პატივცემულო ალექსანდრ გრიგორიევიჩ, სულიერ და ხორციელ ძალთა სიმტკიცეს, სიბრძნეს, მოთმინებასა და კურთხეულ წარმატებებს თქვენს მომავალ მოღვაწეობაში მშობლიური მიწის სასიკეთოდ.**

**ღვთის შეწევნა ახლდეს თქვენს მსახურებას ბელარუსის პრეზიდენტის მაღალ და პასუხსაგებ პოსტზე.**

**გულწრფელი პატივისცემით**
**ალექსი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი.**

ვისაც "პრავდის" სტილი და რიტორიკა ახსოვს, არ გაუჭირდება მიხვედრა, რომელი "მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების" თანახმადაა დაწერილი ეს ტექსტი. ამასთან ერთად გასაგები ხდება, რატომ არ გამოხმაურებია არც ერთი სიტყვით საქართველოს საპატრიარქო მინსკში საქართველოს მოქალაქეთა დაპატიმრებას. არც ერთი სიტყვა არ შეუწევია უსამართლოდ ჩაგრული და დევნილი თანამემამულეებისათვის, სამაგიეროდ, მჭევრმეტყველება არ დაუშურებია იმ ბარბაროსთა დასაცავად, რომლებმაც რუსთაველის თეატრის აფიშა დაწვეს. მაშინვე გაიხსენეს: ისეთივე დაუშვებელია, როგორც მოჰამედის კარიკატურებიო. ნეტა არ უნდათ, ისლამისტი ფუნდამენტალისტებისაგან რამით მაინც გამოირჩეოდნენ? თანაც ისე გამოდის, თითქოს **ლეონარდო და ვინჩის** ფრესკა "საიდუმლო სერობა" ამათი კულტურული მონაპოვარი იყოს!

თუმცა და ვინჩის ვინ ჩივის! — ყალბი ინტერპრეტაციების ექსტაზით მოცულმა **შალვა ნათელაშვილმა** მარადიული ქალაქის გეოგრაფია სულ თავდაყირა დააყენა. ახალი, ჯერაც უცნობი და დაურეგისტრირებელი გეოგრაფიული აღმოჩენებიც გააკეთა: სიყვარულის მოედანი და ზევსის შადრევანი. ნეტა სად იპოვა რომში ეს ადგილები? არც "კოლიზეის" (კოლიზეუმს გულისხმობს შალიკო) მიდამოებში არსებობს რაიმე ბაზრობა — იქ მხოლოდ ეთიოპიიდან და სენეგალიდან ჩამოსული უბედურები დასდევენ ტურისტებს და წვრილმან სუვენირებს სთავაზობენ, მათ გარდა კი ახალთ-ახალი შავი მანქანებით დასეირნობენ ნეაპოლელი აფერისტები, რათა გულუბრყვილოებს ოცი ან ოცდაათი ევრო დასცინცლონ. პირველ შემთხვევაში მართლაც არაა გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლი, მეორეში კი კანონის დაცვა ცხენოსან პოლიციას ევალება. სამაგიეროდ სააკაშვილის მიერ მონახულებულის გარდა, რომის კიდევ ორ დიდ ბაზრობაზე (ერთი პორტა პორტეზეზე, მეორე კი პიაცა ვიტორიოზე მდებარეობს) არც ერთი დახლიდან არ გაგატანენ შენაძენს, თუ ჩეკიც არ მოაყოლეს. ამით, სხვათა შორის, არა მარტო სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება, არამედ მყიდველისა და გამყიდვლის უფლებებიც, რადგან ჩეკის წარდგინებით ყველას შეუძლია უვარგისი საქონლის დაბრუნება, ჩეკის წარუდგენლად კი — არავის. ვთქვათ, ბ-ნ ნათელაშვილს მართლაც ჰგონია, რომ ქართველების უმრავლესობას მარადიული ქალაქის გეგმაზე ხელი არ მიუწვდება, მაგრამ ნუთუ იმასაც ფიქრობს, რომ დავიჯერებთ, თითქოს იტალიაში სახელმწიფო კანონები უბნებისა და კვარტლების მიხედვით მოქმედებს და არა მთელ ტერიტორიაზე?

ისიც უნდა ვთქვა, რომ იტალიაში არა მარტო მოწესრიგებულ ბაზრობებზე, არამედ თვით გარე მოვაჭრეთა შორის ქურდების შესახებ სულ სხვა აზრისა არიან...

ერთი სიტყვით, სტატია კი არა, დომხალი გამომივიდა. მაგრამ ჩვენი ცხოვრები რითია უკეთესი? მე კი არა, უკვე დიპლომირებული ფილოსოფოსები ვერ აგნებენ რეალობის გასაღებს. ერთერთმა მათგანმა დღეს დილით დამირეკა და რატომღაც **კობა დავითაშვილზე** გამიბა საუბარი. ბოლოს კი აღიარა, ვერანაირად გამიგია, როგორ შეიძლება სამშობლოს ემსახურებოდეს კაცი, რომელიც იმისთვისაც კი არაა მზად, რომ ცოლს უღალატოსო. ერთხანს კიდევ ლაპარაკობდა იმავე თემაზე, მერე კი შენიშნა, რომ საწყისი დებულება გენდერულად დაუბალანსებელი იყო, საშინლად დაიმორცხვა და შემდეგნაირად მოახდინა მისი მოდიფიცირება: როგორ შეძლებს სამშობლოს სამსახურს ადამიანი, რომელიც იმისთვის კი არაა მზად, რომ მეუღლეს უღალატოს?

სხვა თუ არა, ის "პრისტუპნიკი" გოგოები მაინც ხომ მიხვდებიან იდეის სიღრმეს და დაეთანხმებიან ჩემს მარტოსულ ფილოსოფოსს. აბა, გოგოებს სხვა რა პერსპექტივა უნდა ხიბლავდეს "პრისტუპნიკობაში"!..

*სამართალი*

# 30 წლიანი პატიმრობა ბუშის მკვლელობის მსურველისთვის

*ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ 30 წლით პატიმრობა მიუსაჯა არაბული წარმოშობის ამერიკის მოქალაქეს, რომელსაც ბრალად ედება "ალ-ქაიდასთან" კავშირი და ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე თავდასხმის ორგანიზების მცდელობა.*

25 წლის აჰმედ ომარ აბუ 2003 წელს, საუდის არაბეთის ტერიტორიაზე დააკავეს, შარშან თებერვალში კი შეერთებულ შტატებში გადაიყვანეს. 2005 წლის ნოემბერში ის ცხრა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, მათ შორის, თვითმფრინავის ხელში ჩაგდების ორგანიზებაში ცნეს დამნაშავედ.

ამერიკის პროკურატურა ითხოვდა, რომ აჰმედ ომარ აბუსთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ, მაგამ სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ბრალდებულის ქმედებებს არ მოჰყოლია მსხვერპლი.

"სასამართლომ 360 თვით, ანუ 30 წლით პატიმრობა მოგისაჯათ", განუცხადა ბრალდებულ აჰმად ომარ აბუს მოსამართლე ბრიუს ლიმ და დაამატა, რომ ასეთ ლმობიერს განაჩენს საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ განსასჯელს არ აღმოაჩნდა იარაღი და მისი ქმედების შედეგად არავინ დაზარალებულა.

**"ეს ფაქტი აუცილებლად გასათვალისწინებელია"**, - განაცხადა მოსამართლემ, მიუხედავად იმისა, რომ თავად აჰმად ომარ აბუმ აღიარა, რომ "ალ-ქაიდასთან" თანამშრომლობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც თქვა, რომ ჩვენებები მას ფიზიკური ზემოქმედების შედეგად გამოსძალეს.

საქმე ის გახლავთ, რომ თავის აღიარებით ჩვენებებს ბრალდებულმა საუდის არაბეთში მოაწერა ხელი, ხოლო ამერიკის სასამართლოში კი თავი ბრალდებულად არ ცნო და განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ძალოვანმა ორგანოებმა ის აწამეს. აღსანიშნავია, რომ პროკურორები ამ ბრალდებებს უარყოფენ. ამერიკის პროკურატურის წარმომადგენლების განცხადებით, აჰმად ომარ აბუ არასოდეს არავის უწამებია და ის აღიარებით ჩვენებებს კეთილი ნებით იძლეოდა.

ბრალდების ვერსიით, აჰმედ ომარ აბუმ "ალ-ქაიდასთან" კავშირი დაამყარა მაშინ, როცა, 2001 წელს მდინას უნივერსიტეტში სწავლობდა. გამოძიების აზრით, სწორად მაშინ ჩაიფიქრა მან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოეყალიბებინა ამ ორგანიზაციის ფილიალი, იმის მსგავსი, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბერს ვაშინგტონსა ნიუ-იორკში თავდასხმები მოაწყო.

საბრალდებო სიტყვაში ნათქვამია, რომ აჰმედ ომარ აბუ ალიმ 2002 და 2003 წლებში შეიმუშავა ამერიკის პრეზიდენტზე, ჯორჯ ბუშზე თავდასხმისა და შეერთებული შტატების ტერიტორიაზე "ალ-ქაიდას" ტერორისტული მოღვაწეობის გეგმა.

ბრალდების დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ალი, თამზრახველთებთან განიხილავდა ბუშის მკვლელობის ორ შესაძლებლობას - ახლო მანძილიდან გასროლასა და თეთრი სახლისკენ მიმავალი ბუშის კორტეჟის მსვლელობისას ავტომანქანაში ჩამონტაჟებული მძლავრი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქებას. იმავე საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ ომარ აბუს კავშირი ჰქონდა ათობით ინკოგნიტო "შეთქმულთან" საუდის არაბეთიდან, რომლებმაც მას ასწავლეს ცეცხლსასროლ იარაღთან, ხელყუმბარებთან, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან ურთიერთობა და დოკუმენტების გაყალბებაც კი. საბრალდებო დასკვნაშივე ნათქვამია, რომ ომარ აბუს ბინაში, ვირჯინიაში, ნაპოვნია დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება უსამა ბინ-ლადენთან დაკავშირებულ საერთაშორისო ტერორისტს აიმან აზ-ზავახირის და როპმ ამ დოკუმენტში ქებადიდებაა მიძღვნილი თალიბების ლიდერის მულ ომარის მიმართ. გარდა ამისა, ომარ აბუს ბინის ჩხრეკისას მიაკვლიეს აუდიოჩანაწერებს, რომლებზეც "ჯიხადისკენ" მოწოდებაა დაფიქსირებული.

ამერიკული სპეცსამსახურების თხოვნით ომარ აბუ ალი 2003 წლის მაისში, ქვეყნის დედაქალაქში აფეთქების ორგანიზების ბრალდებით, საუდის არაბეთში დააპატიმრეს. სხვათა შორის, ამ აფეთქებას 34 ადამიანის, მათ შორის 9 ამერიკის მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სპეცსამსახურები ომარ აბუს ეგრეთ წოდებულ "ჯიხადის ქსელთან" კავშირშიც მოიაზრებდნენ, რომელიც ვაშინგტონის შემოგარენსა და ვირჯინიის შტატის იატაქვეშეთში ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდა.

ამერიკელი პროკურორები მიიჩნევენ, რომ 2002 წელს ომარ აბუ საგანგებოდ გაემგზავრა საუდის არაბეთში, რომ ტერორისტებს შეერთებოდა. **"მისი განათლების მიღების სურვილების ჭეშმარიტი მიზანი მალევე გახდა ცნობილი,** - აცხადებს პროკურორი სტივენ კემპბელი, - **ნაცვლად იმისა, რომ მუსულმანთა კანონმდებლობა შეესწავლა, ის ტერორისტთა შეკრებებს ესწრებოდა"**.

21 თებერვალს ომარ აბუ საუდის არაბეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიყვანეს. თვით დაკავებულის ოჯახის წევრები კატეგორიულად უარყოფენ მის მიმართ წარდგენილი ბრალდებების რეალურობას. მეტიც, შარშან ივლისში ომარ აბუს მშობლებმა ალექსანდრიის სასამართლოს პროტესტით მიმართეს მათი ვაჟის უსაფუძვლო დაპატიმრების გამო.

ომარ აბუს ადვოკატი, ხურუმ ვახიდი კი ამბობს: **"ჟიურიმ თავისი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, მაგრამ ბრძოლა არ დასრულებულა, ჩვენ ვაპირებთ, მართლმსაჯულების საშუალებით განსასჯელის უდანაშაულობა დავამტკიცოთ"**.

აღსანიშნავია ისიც, რომ საუდის არაბეთში სასწავლებლად ჩასული ომარ აბუ ისე დააკავეს და პატიმრობაშიც ამყოფებდნენ, რომ მისთვის ბრალდება არ წაუყენებიათ. განსასჯელის ოჯახი აცხადებს, რომ ის FBI-ის უშუალო მითითებით დააპატიმრეს.

*24 საათი*

# ყოფილი გუბერნატორი - კონტრაბანდისტი

*ცხინვალის ადმინისტრაციაში მომუშავე ერთადერთ ქართველს, შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორს ვაჟა ხაჭაპურიძეს, რომელიც ქართველმა ძალოვნებმა კონტრაბანდის გადატანის ბრალდებით დააკავეს, გუშინ ბრალი წარუდგინეს. გუშინვე სამართალდამცველებმა სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობითაც მიმართეს.*

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ვაჟა ხაჭაპურიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის საგანგებო დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა ცხინვალთან ახლოს, ერგნეთის საგუშაგოზე დააკავეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ვაჟა ხაჭაპურიძეს მანქანით კონტრაბანდული ტვირთი - უაქციზო, რუსული წარმოების 1500 კოლოფი სიგარეტი გადმოჰქონდა. აღურიცხავი თამბაქოს ნაწარმი მას ვაშლით ჰქონდა დაფარული და პოლიციელთა განცხადებით, ცხინვალიდან გორში გადაჰქონდა გასაყიდად.

ვაჟა ხაჭაპურიძე კონტრაბანდული სიგარეტის გადმოტანის ფაქტს არ უარყოფს, თუმცა აცხადებს, რომ ტვირთი მის ახლობელს, დევნილს ეკუთვნოდა, რომლის თხოვნითაც გადაჰქონდა. ამასთან ხაჭაპურიძის თქმით, 1500 კოლოფი სიგარეტი დიდი რაოდენობის არ არის, სულ სამი ყუთია და, აქედან გამომდინარე, სასჯელის ზომად არ უნდა იყოს გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიება დაპატიმრების სახით. მეტიც, დაკავების დროს ხაჭაპურიძე დარწმუნებული იყო, რომ მას მხოლოდ მცირე ჯარიმის გადახდა მოუწევდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ადმინისტრაციის თანამშრომელი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს და საბოლოოდ ბრალიც წარუდგინეს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის დევი ჭელიძის განცხადებით, დაკავებულ ხაჭაპურიძეს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. მაგრამ მას ჯერ დანაშაული უნდა დაუმტკიცდეს.

აღსანიშნავია, რომ მომხდარი ხაჭაპურიძისთვის ქართველ სამართალდამცველებთან ურთიერთობის პირველი შემთხვევა არ გახლავთ. პირველად იგი პატიმრობაში წლების წინ, შიდა ქართლის გუბერნატორობის პერიოდში მოხვდა. ხაჭაპურიძეს მაშინ სამი ბრალდება წაუყენეს - იარაღის უკანონო ტარება, ყალბი ფულის რეალიზაცია და სამშობლოს ღალატი. საბოლოოდ მხოლოდ ეს უკანასკნელი ბრალდება დაუმტკიცდა და ორწლინადნახევარი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატარა.

სწორედ ციხიდან გამოსვლის შემდეგ გააგრძელა ხაჭაპურიძემ მოღვაწეობა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში, სადაც ორი წელი მუშობდა.

ხაჭაპურიძის დაკავების ფაქტს გუშინ ცხინვალის ფაქტობრივი ხელისუფლება გამოეხმაურა და მომხდარი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეაფასა. როგორც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, ბორის ჩოჩიევმა განაცხადა: **"ვაჟა ხაჭაპურიძეზე ქართული ხელისუფლება კარგა ხანია ნადირობდა. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისში ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მისი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში მუშაობის გამო, ხაჭაპურიძის დაკავების ფაქტს ჩემი კოლეგები არ გაუკვირვებია"**.

ჩოჩიევის აზრით, ცხინვალში გაკვირვება გამოიწვია დაკავების მოტივმა, რომლითაც ქართული მხარე შეეცადა პოლიტიკური ასპარეზიდან ვაჟა ხაჭაპურიძის ჩამოშორებას. **"მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ხაჭაპურიძე ქართულოსური ურთიერთობების მოგვარებაში დადებითი როლის შესრულებას ცდილობდა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრე იყო, მას თბილისში, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ყოველგვარი მიზეზის გარეშე, დაუმსახურებლად აკრიტიკებდნენ"**, - განაცხადა ჩოჩიევმა და დასძინა: **"სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლება ვაჟა ხაჭაპურიძის საქმიანობას ქართულოსური კონფლიქტის მოგვარებაში, რომელშიც მას შუამავლის როლის შესრულება ხშირად უწევდა, დადებითად აფასებს. მისივე თქმით, მას და მის კოლეგებს ყოველთვის ესმოდათ და გაგებით ეკიდებოდნენ იმ გარემოებას, რომ ხაჭაპურიძისათვის მუშაობა სულ უფრო ძნელი ხდებოდა"**.

საეჭვოა, რომ ქართული მხარე იზიარებდეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებას ხაჭაპურიძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამჟამად დაკავებული ვაჟა ხაჭაპურიძე გორის შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების განყოფილებაში იმყოფება და წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის.

*24 საათი*

*მოკლედ*

### ინციდენტი "ლეიბორისტული პარტიის" ოფისთან

"ლეიბორისტული პარტიის" ოფისთან მომხდარ ინციდენტს ლეიბორისტები პარტიის ოფისზე თავდასხმის მცდელობად მიიჩნევენ. როგორც ლეიბორისტული პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ განაცხადა, პარტიის ოფისთან ორი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი და დანებით შეიარაღებული პირი მივიდა. მათ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილის ავტომანქანას სარკეები მოამტვრიეს, შემდეგ კი პარტიის ოფისში შეღწევა სცადეს. პარალელურად თავდამსხმელები შეურაცხყოფას აყენებდნენ ნათელაშვილსა და ლეიბორისტულ პარტიას. დოლიძის თქმით, ლეიბორისტული პარტიის თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ საპატრულო პოლიცია გამოეძახათ, რომელმაც თავდამსხმელები დააკავა.

პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, არის ეჭვი, რომ თავდამსხმელები ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები არიან. "ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის განცხადებით: **"ეს შეიძლებოდა დაეგეგმა მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელსაც ტერორის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. სარკის მოსაპარად იარაღით არ დადიან. მართალია, ისინი დაკავებულები არიან, მაგრამ გამოძიება ისე დაადგენს, როგორც სააკაშვილს სურს". მედიანიუსი**

### ეუთო შეშფოთებულია

ეუთო შეშფოთებას გამოთქვამს 27 მარტს ორთაჭალის ციხეში მომხდარი ინციდენტის გამო და საქართველოს ხელისუფლებისაგან მომხდარის გამოძიებას მოითხოვს. საქართველოს ციხეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუსტიმმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა. ეუთოს თავმჯდომარე მწუხარებას გამოთქვამს ადამიანების დაღუპვის გამო და მიზანშეწონილად მიიჩნევს მომხდარზე დამოუკიდებელი გამოძიება ჩატარდეს. განცხადებაში ნათქვამია: **"ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გავრცელების გამო, შექმნილია გაუგებარი მდგომარეობა, რაც ობიექტურ გამოძიებას და პასუხის გაცემას საჭიროებს". ჯი-ეიჩ-ენი**

ნინია კაკაბაძის სვეტი



# აღსარებაზე მამა მიხოსთან - გაურკვეველი სექტის ეკლესია

"პიესა" ერთ მოქმედებად

**მხევალი ნინო** - მამა მიხო, თქვენ ერთადერთი ჭეშმარიტი მამაო ბრძანდებით, აღსარება მინდა ჩაგაბაროთ, ბევრი ცოდვა დამიგროვდა. მიმიღეთ, მამაო...

**მამა მიხო** - მარხულობ, შვილო ჩემო?

**მხევალი ნინო** - ვმარხულობ, მამაო, მაგრამ მარხვის დროს ჩემი ცოდვილი ფეხი ჯოჯოხეთში აღმოჩნდა...

**მამა მიხო** - (მაღალი და გაბრაზებული ხმით) ჯოჯოხეთში რა გინდოდა, ცოდვილო?

**მხევალი ნინო** - სამსახურიდან რეპორტაჟისთვის წარმგზავნეს, მე ყველაზე მამაცი და უშიშარი ჟურნალისტი ვარ, ყველა ცოდვილი ჩავწერე, ყველას ინტერვიუ ჩამოვიტანე და თავისუფლების ინსტიტუტში მივიტანე. დამლოცა დიდმა ლევანმა, მადლობა მითხრა, ამ წელს ღირსების ორდენი არ აგცდებაო... მაგრამ საზოგადოებამ ჯერ მაინც არ მაღიარა, თავადაზნაურთა შეკრებაზე მაინც არ დამიძახეს, მამაო! მომიტევე, მამაო, მახეში გავები, კარიერას დავხარბდი, დიდება მომინდა, ამიტომ წავედი ჯოჯოხეთში... ინტერვიუები ავიღე, ყველა ჩავწერე; ფილიპე მახარაძე, სტალინი, ბერია, ძერჟინსკი, კეკეც ვნახე, მამაო...

**მამა მიხო** - როგორი გზაა ჯოჯოხეთამდე?

**მხევალი ნინო** - ძალიან ცუდი, მამაო, ძლივს ჩავაღწიე, ორმოებით, ნაპრალებით სავსეა იქ მიმავალი გზა...

**მამა მიხო** - არა უშავს, შვილო ჩემო, 2009 წლისთვის იქაც ახალ ასფალტს დავაგებთ, მერე ნახე, რა გზა იქნება... კაი, შვილო ჩემო, კიდევ რა ცოდვა გაწუხებს? ყველაფერი მითხარი, არაფერი დაიტოვო გულში.

**მხევალი ნინო** - მამაო, შემინდე, სასულიერო პირი შემიყვარდა, დეკანოზი გიგა, ვერ ვუცქერ გულგრილად, ეშმაკი მებრძვის, მამაო, მიშველე მამაოოო... *(ტირის)*

**მამა მიხო** - აპ, აპ, აპ... შეგინდობ, შვილო ჩემო, თუ ყოველ ღამე უფრო მეტს ილოცებ, გაძლიერდები, მერე ნებას გაძლევ, შვილო ჩემო, სტიქაროსანი სამყურაშვილი შეიყვარო, მაგი ღვთის პირდაპირი შთამომავალია, შვილო ჩემო... კიდევ, შვილო ჩემო?

**მხევალი ნინო** - ერთი კვირის წინ ახალი ჟურნალის პრეზენტაცია იყო, დამპატიჟეს, პრეზენტაციას "after party" მოჰყვა, მამაო, იქაც წავედი. ბევრი ხალხი და ბევრი საჭმელი იყო, სამარხვო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც არაფერი შევჭამე, მამაო, არ დავარღვიე!

**მამა მიხო** - აბა, რა გაწუხებს, შვილო ჩემო?

**მხევალი ნინო** - *(თავს დახრის და ხმადაბლა იტყვის)* მინი-იუბკა მეცვა, მამაო, ძალიან მინი...

**მამა მიხო** - შეგინდოს უფალმა, შვილო ჩემო, მალე სკოლის მოწაფეებისთვის ახალ ფორმებს შევკერავთ, იმას ჩაიცვამ და მარხვის დროს მხოლოდ ის გეცმევა! გაიგე, შვილო ჩემო?!

**მხევალი ნინო** - დიახ, მამა მიხო. კიდევ უმცროს დას ვაწყენინე, ყურზე ვუკბინე, ვატკინე და ვატირე...

**მამა მიხო** - *(ხმამაღლა)* არა უშავს, შვილო ჩემო, მომავალ წელს ახლად გარემონტებული ხუთი სკოლა გვექნება, ახალი მერხებით, ალუმინის კარ-ფანჯრებით, ევრორემონტით, შვილო ჩემო, ევრორემონტით!

**მხევალი ნინო** - მტრედი დაფრინავდა ჩემს თავზე, მხარზე ჩამოჯდომა უნდოდა, შემეშინდა, ქათმის გრიპია, მამაო, ქალაქში, ქვა ავიღე, ვესროლე, შუბლში მოვარტყი და მოვკალი, მამაო, შემინდე....

**მამა მიხო** - ახალი პოლიცია, პატრული გვყავს, ახალი მანქანებით დადიან, მობილური, რაცია ყველაფერი ჯიბეში აქვთ, დავურეკავ და თუ სცალიათ, მოვლენ. რატომ არ დაურეკე, ყველას დაიჭერენ, ვინც დამნაშავეა; ადამიანს, ცხოველს, ფრინველს, ძუძუმწოვრებს, ქვეწარმავლებს, ყველას მოერევა ახალი პატრული! ამდენი დაუნახაობა შეიძლება?! (დამშვიდდება) კარგი, შეგინდოს ღმერთმა.

**მხევალი ნინო** - ცუდი სიზმარი ვნახე, მამაო, შავ გვირაბში მარტო ვიყავი და სიკვდილი მიახლოვდებოდა, ნელი და დინჯი ნაბიჯით. დილას ავდექი და წყალს გავატანე, ონკანს მოვუყევი სიზმარი. მამა მიხო, ვმარხულობ, ეს კიდევ ცრურწმენაა, არ შეიძლება, მომიტევე მამაო...

**მამა მიხო** - *(ხმამაღლა)* გვირაბიც ჩვენ ავაშენეთ ქობულეთი-ბათუმის "პერევალზე", გადასარევი, ახალი, გასისინებული გვირაბი, რა გინდათ მეტი, არ მესმის, რატომ ხედავთ ცუდ სიზმრებს?! (ხმას დაუწევს) 2009 წლისთვის კიდევ ახალ გვირაბებს ავაშენებთ... შეგინდოს უფალმა, შეგინდოს, შვილო ჩემო...

**მხევალი ნინო** - *(ოდნავ გაკვირვებული გამომეტყველებით)* ქუჩაში მათხოვარს ფული წავართვი, მშიოდა მამაო, კუჭი მეწვოდა შიმშილისგან *(ისევ დაბლა დახრის მზერას)*.

**მამა მიხო** - არა უშავს, შვილო ჩემო, ახალი კლინიკები გვექნება; ქუთაისში, ზესტაფონში, ბათუმში, თბილისში, ზუგდიდში. იქაც ევრორემონტს გავაკეთებთ, იქაც სითბო, სილამაზე და კომფორტი იქნება. 2009 წლისთვის 5-6 ახალი საავადმყოფო აშენდება, შვილო ჩემო...

**მხევალი ნინო** - *(კიდევ უფრო გაკვირვებული)* ბებია მცემდა ბავშვობიდან, მამაო, ძალიან მაგრად მცემდა... ღამე მივეპარე, ყურში მარილი ჩავაყარე და მოკვდა *(თავს ისევ დახრის)*.

**მამა მიხო** - *(ხმამაღლა და ოდნავ აგრესიულად)* რამდენი უფასო სასადილო გავხსენით, სადაც გინდა, ყველა უბანში, უგემრიელესი წვნიანია, ვერ ხედავ, მონა ღვთისა გიორგი რა მადიანად მიირთმევს ხოლმე?! მეც მიყვარს, ხშირად ვჭამ, რატომ არ დადიხარ იქ, რატომ არ ჭამ წვნიანს?! *(ხმას დაუწევს)* წიწიბურაც არის, სხვათა შორის!

**მხევალი ნინო** - *(შეშინებული და შერცხვენილი გამომეტყველებით)* ყველაფერს შემინდობ, მამა მიხო? ამდენ ცოდვას შემინდობ? ფრინველები და ადამიანები რომ დავხოცე, იმასაც, მამაო?

**მამა მიხო** - კი, შვილო ჩემო, ეგ რა ცოდვებია, ყველაფერს შეგინდობ. შენ ნახე, 2009 წლისთვის რა ცხოვრება გვექნება...

**მხევალი ნინო** - *(გაკვირვებული, შეშფოთებული სახით, ფეხზე წამოდგება, ხმამაღლა იტყვის)* კიდევ ერთი, უპატიებელი, ყველაზე მძიმე ცოდვა არ მითქვამს, მამაო...

**მამა მიხო** - თქვი, შვილო ჩემო, დიდი ვარ მე, შეგინდობ...

**მხევალი ნინო** - *(ხელებს მაღლა ასწევს და ოდნავ ისტერიულად დაიყვირებს)* **ჯაშუში ვარ, მამააააოოო!**


## BP საქართველო-ს საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2006

საქართველო იწყებს სტაჟირების პირველ საზაფხულო პროგრამას, რომელიც ნიჭიერი სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფს მისცემს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ენერგო კომპანიაში სამუშაო გამოცდილების შეძენის საშუალებას.

პროგრამაში მონაწილეობისათვის შეირჩევიან საინჟინრო-ტექნიკური, ბიზნესის, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების განხრების ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტები, რომლებიც გაივლიან 4 თვიან სტაჟირებას შემდეგ სფეროებში:

•მილსადენის ექსპლუატაცია და უსაფრთხოება

•მიწის და მიწის რეგულირების საკითხები

•კომუნიკაციები და საგარეო ურთიერთობები

•შესყიდვები

•ფინანსები და საბუღალტრო საქმე

### მოთხოვნები

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სწავლობდეს ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან მაგისტრატურაში.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური მიღწევები და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

შერჩევა მოხდება გასაუბრებისა და ინგლისურ ენაში ტესტირების საფუძველზე.

განცხადების ანკეტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია - ს საქართველოს ოფისში, მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. 38

შევსებული ანკეტების ჩაბარება იწარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილამდე


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 2006 წლის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი: ანტირაბიული იმუნოგლობულინი (განზავებით 1/100 მლ) - 9 300 კომპლექტი;**

**II ლოტი: ანტირაბიული ვაქცინა კონცენტრირებული, კულტურალური - 50 000 კომპლექტი.**

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 დეკემბრამდე. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, პირობით: **LINCOTERMS**-2000, **DDP** - თბილისი, უზნაძის ქ. N76/1.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 25 აპრილის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 26 აპრილს 10 საათიდან 15 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;

გ) პრეტენდენტის წესდება;

დ) ცნობა პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ.

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის -სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა;

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ანტირაბიული საშუალებების მოწოდება "ცივი ჯაჭვის" პრინციპების მკაცრი დაცვით.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები) თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

11. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: **Procurement-ge@yahoo.com**.

**სატენდერო კომისია**

## სარეკლამო განცხადება

აშშ საელჩო, თბილისი, საქართველო

2006 წლის 8 აპრილს, აშშ სალეჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.

აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი. მოწყობილობები, სანტექნიკური ფიტინგების აქსესუარები და აგრეთვე დაზიანებული ავტომანქანები.

- აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.

- მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივეთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

- დაინტერესებულ პირთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება მხოლოდ აუქციონის დღეს დილის 9.00-დან 11.00 საათამდე.

აუქციონი (ბიდინგი) დაიწყება დილის 11.00 საათზე.

აუქციონი ჩატარედება შემდეგ მისამართზე:

ლილო. რუსთაველის ქ 4. აშშ სალჩოს საწყობის ტერიტორია.

ცნობებისათვის დარეკეთ: 27 70 00. შიდა 7201. 899 977810.

## სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" აცხადებს ღია ტენდერს

**ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი საკაბელო პროდუქციის ჯართის სახით რეალიზაციაზე. პროდუქცია შედგება ფერადი ლითონებისაგან (სპილენძი, ტყვია და ალუმინი).**

**დაინტერესებულ პირებს სატენდერო პირობებზე ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ კომპანიის სათაო ოფისს განცხადების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში.**

**მისამართი : ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის ქუჩა N95**
**ტელეფონი : 91-14-16; 91-19-30**
**სატენდერო კომისია**

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საავტომობილო საწვავის შესასყიდად 10 თებერვალს გამოცხადებული ტენდერის შედეგები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 10 თებერვალს საწვავის შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამოცხადებულ პრეტენდედტად გამოცხადდა შპს "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქცი", რომელთანაც ხელშეკრულება დაიდო 17 მარტს.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექტროდეპო");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფტინფოს" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0177 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში მდებარე ავარიული საცხოვრებელი კორპუსების გამაგრება-გაძლიერების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 პოზიციად (ლოტად):

1. ვაზისუბნის დასახლება N19 კორპ. გამაგრება -გაძლიერება;

2 ვარკეთილის II მ/რ N2-ბ კორპ. გამაგრება -გაძლიერება;

3. ვარკეთილის I მ/რ N25 კორპ. გამაგრება -გაძლიერება;

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უნდა ჩატარდეს ავარიული საცხოვრებელი კორპუსების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბერი.

*3*. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 26 აპრილის 12 საათიდან 2006 წლის 26 აპრილის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 4 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელსეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების რირებულების 5% ოდენობით.

*8.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*9.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ვაკის პარკში არსებული მემორიალის რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: საპროექტო დოკუმენტაციის და არსებული ესკიზების მიხედვით უნდა ჩატარდეს სამშენებლო და სამხატვრო სამუშაოები, მათ შორის: ტერიტორიის (ბაქანი და კიბე) აღდგენა-რეკონსტრუქცია, გრანიტის პედესტალებისა და მარმარილოს დეკორატიული სტელების მოწყობა და მხატვრული დამუშავება.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 30 მაისი.

*3*. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 26 აპრილის 12 საათიდან 2006 წლის 26 აპრილის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 4 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების რირებულების 5% ოდენობით.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მალხაზ ბალანაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**






# ვაკანსია

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;

- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;

- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;

- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;

- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;

- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;

- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;

- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;

- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;

- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;

- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;

- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **პარასკევი, 2006 წლის 14 აპრილი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება - 25 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ოთხკარიანი

- საწვავის ხარჯი: ბენზინის შემთხვევაში 100კმ-ზე - მაქსიმალური 18 ლიტრი,

- ძრავის მოცულობა 2000-დან 4000-მდე კბ.სმ.

- სიმძლავრე - არანაკლები 80 ცხენის ძალა.

- სიჩქარე - არანაკლები 120 კმ/სთ.

- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური.

- გამოშვების წელი 2006 წელი.

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N10

4. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 25 აპრილს, 1000 საათიდან 13.00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

8. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2005 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

ქვეყნის ხელისუფლების მიერ სოციალურ სფეროში დასახული უმთავრესი ამოცანების სრულფასოვანი რეალიზაციის მიზნით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავდა მთავრობის მიერ შემუშავებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროების სისტემური და სტრუქტურული რეფორმების პროგრამის ეტაპობრივი რეალიზაციის მიმართულებით. საბჭო ხელს უწყობდა რეფორმებს, განხორციელებულ საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის, სოციალური დახმარების პროგრამების, ფინანსური პოლიტიკის სრულყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების რეალიზაციის მიზნით.

2005 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს

5 სხდომა, მათ შორის ერთი გამსვლელი, ფონდის აჭარის რეგიონული ფილიალის მუშაობის გაცნობის მიზნით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე მოსმენილ იქნა საკითხები სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე, ფონდის პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშები, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ტენდერების მიმდინარეობის შესახებ, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის პროგრამის მიმდინარეობის, "პენსია-2005"-ის პროექტის თაობაზე, მოსახლეობის ამბულატორიული დახმარებების პროგრამის პილოტური მონიტორინგის შესახებ, წინა წლებში წარმოშობილი დავალიანებების დაფარვის მექანიზმების შესახებ, ფონდის კონტროლისა და ზედამხედველობის ინსპექციის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, ელექტროშეღავათების კომპენსაციების გაცემის მდგომარეობის თაობაზე. ამასთან, 2005 წლის დეკემბრის სხდომაზე, სამეთვალყურეო საბჭო, წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშით წარსდგა თავისი წევრების წინაშე.

ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის პრაქტიკაში დაინერგა პარლამენტარების მონაწილეობა სხდომების მუშაობაში, საბჭოს გამსვლელი სხდომებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობა რეგიონებსა და რაიონებში. ქობულეთში სამეთვალყურეო საბჭოს გამსვლელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ აჭარის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, რეგიონში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მსხვილი კონტრაქტორი დაწესებულებების ხელმძღვანელები, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ფილიალის თანამშრომლები. მოსმენილ იქნა აჭარის რეგიონული ფილიალის ხელმძღვანელის ანგარიში 2004-2005 წლებში გაწეული მუშაობის თაობაზე. ამასთან, ადგილზე გასვლით საბჭოს წევრები გაეცნენ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მიმდინარეობას, უშუალოდ შეხვდნენ საპრეზიდენტო პროგრამის - "უფასო საწრაფო სამედიცინო დახმარება - 03" - მომსახურე სამედიცინო პერსონალს, სოციალური დაზღვევის ფონდის ქობულეთის ფილიალის თანამშრომლებს, მმართველობის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

მიმდინარე წელს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობა სამუშაო შეხვედრების დონეზე გაეცნო ფონდის ცენტრალური ოფისის ცალკეული დეპარტამენტების საქმიანობას, პირადად შეხვდა აპარატის თითოეულ თანამშრომელს. გამოიკვეთა მთელი რიგი სერიოზული პრობლემები ფონდის სტრუქტურული რეორგანიზაციის, პროგრამების მართვის სქემების სრულყოფის, თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების, დეპარტამენტების ფუნქციების დუბლირების აღმოფხვრის თვალსაზრისით.

სამეთვალყურეო საბჭომ, ფონდის დირექციასთან ერთად განსაზღვრა ფონდის სისტემური და სტრუქტურული რეფორმების ეტაპები და პრიორიტეტები.

იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში დაინერგა ახალი საპენსიო სქემა, გაუქმდა ხელფასისა და სტაჟის მიხედვით პენსიების გაანგარიშების მეთოდი, არსებითად შეიცვალა ფონდის, მათ შორის, მისი ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) ფუნქციური დატვირთვა, თანამდებობრივი კატეგორიები და თითოეულისათვის განისაზღვრა განსხვავებული უფლება-მოვალეობები, 2005 წლის განმავლობაში განხორციელდა სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია და საშტატო განრიგის ოპტიმიზაცია. 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფონდის მთელ სისტემაში დარჩა 1520 საშტატო ერთეული. აქედან, ცენტრალურ აპარატში - 308, რეგიონულ ფილიალებში - 106, რაიონულ (საქალაქო) ფილიალებში - 1021, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალში - 54, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალში - 31. ცენტრალურ აპარატსა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროებში ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია 677 თანამშრომელი.

სამეთვალყურეო საბჭოს მუდმივ კონტროლზე ჰქონდა აყვანილი სახელმწიფო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის, ხარჯვითი პოლიტიკის სრულყოფის, პროგრამული ხარჯების შესრულების, კონტროლისა და მონიტორინგის საკითხები. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2005 წლის ხარჯების გეგმიური ოდენობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული განწერის შესაბამისად განისაზღვრა 569 469,7 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, 2005 წელს ფონდის მიერ სახაზინო სამსახურში რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 565 024,7 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ფონდის მიერ სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გადარიცხული საპენსიო თანხების მოცულობამ შეადგინა 407 187,8 ათასი ლარი.

2005 წელს უმწეოთა სოციალური (ოჯახური) დახმარებების დასაფინანსებლად მიმართულ იქნა 21 024,3 ათასი ლარი. ამასთან, 2005 წლის დეკემბრისთვის დახმარებების თანხებთან ერთად დაიფარა 1998 წლის დეკემბრის თვის დავალიანებაც. საანგარიშო პერიოდში დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებული დახმარებები დაფინანსდა 3 840,4 ათასი ლარით.

2005 წლიდან ფონდის მიერ ხორციელდება შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის ელექტროენერგიის საკომპენსაციო თანხების დაფინანსება. მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 12 942,9 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ხაზით შესრულებული სამუშაოები მთლიანად არის დაფინანსებული (სულ ამ მიმართულებით დახარჯულია 93 303,6 ლარი).

შ.შ.მ.პ-თა სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამები დაფინანსებულია 4 850 000 ლარით.

2005 წელს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა 734,4 ათასი ლარით მეტია 2004 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მოსახლეობის ამბულატორიული და სტაციონარული დახმარებების, სასწრაფო დახმარების "03"-ის, მოსახლეობის (დიაბეტით დაავადებულთა, ონკოინკურაბელურ პაციენტთა, ჰემოფილიით და ფენილკეტონურიით დაავადებულთა) სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფისა და იმუნიზაციის პროგრამები.

2005 წლის 1 იანვრიდან ფონდის მიერ განხორციელებული ყველა საფინანსო ოპერაცია შეთანხმებული და ჰარმონიზებულია სახელმწიფო ხაზინასთან, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა აღრიცხვიანობა და გაამკაცრა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საფინანსო დისციპლინა. დამტკიცებული პარამეტრებით ფონდი შეუფერხებლად, დადგენილი გრაფიკისა და პროცედურების დაცვით ახორციელებდა პროგრამების დაფინანსებას, ამდენად, 2005 წელს ახალი ვალდებულებების დაგროვება არ მომხდარა, დაიფარა წინა წლის დავალიანების ძირითადი ნაწილი, სრულიად დაფინანსდა ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამები.

საპენსიო სფეროში მიმდინარე სისტემური და სტრუქტურული რეფორმების ოპერატიულად წარმართვის, პენსიის მიმღებთა საინფორმაციო ბაზის შექმნისა და პენსიონერთა ავტომატიზირებული აღრიცხვის ორგანიზაციის მიზნით, ფონდის სამეთვალყურეო საბჭომ მხარი დაუჭირა "პენსია-2005" პროექტის ამოქმედებას.

პირველად ამდენი ხნის მანძილზე, "პენსია-2005"-ის ფარგლებში შეიქმნა საქართველოს მასშტაბით პენსიონერების მონაცემთა ერთიანი ბაზა. ყოველთვიური პენსია ინიშნება ავტომატიზირებული წესით, ხოლო საბანკო ანგარიშზე თანხების მოძრაობის აღრიცხვა და მათი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება კომპიუტერული სისტემის მეშვეობით.

Рპროექტის "პენსია-2005" ფარგლებშიFფონდის ყველა რეგიონული ფილიალი უზრუნველყოფილ იქნა კომპიუტერული ტექნიკით, ცენტრალურ ოფისში სათანადო სწავლება გაიარეს ფილიალში მომუშავე ოპერატორებმა. ამის შედეგად, საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში ყველა საჭირო ოპერაცია სრულდება კომპიუტერული პროგრამით.

Aპროექტის ამოქმედებით გაძლიერდა კონტროლი პენსიის დანიშვნა-გაცემაზე, უნიფიცირებულმა ფორმამ მაქსიმალურად გამორიცხა მექანიკური შეცდომები ან არასწორი დანიშვნები, ამაღლდა ფინანსური კონტროლი ფონდის ფილიალებისა და მომსახურე ბანკის საქმიანობაზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის დეკემბერში მიღებული საქართველოს კანონების, "სახელმწიფო პენსიის შესახებ" და "სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ", მოთხოვნები სრულად იქნა გათვალისწინებული "პენსია-2005"-ის პროგრამაში და 2006 წლის 1 იანვრიდან მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა სწორედ ამ კანონების შესაბამისად ხორციელდება.

სამეთვალყურეო საბჭოს აქტიური ხელშეწყობით, სერიოზული ორგანიზაციული და სამართლებრივი ხასიათის ცვლილებები დაიგეგმა ძალოვანი სტრუქტურების საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაშიც. აღსანიშნავია, რომ ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა წინა წლების დავალიანება ამჟამად სრულად არის გასტუმრებული.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, განისაზღვრა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირთა აღრიცხვიანობის მოწესრიგების, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროების ფუნქციონირებისა და მათი საქმიანობის მონიტორინგის გაუმჯობესების ღონისძიებები.

2005 წელს საექსპერტო დასკვნების გამოტანის საქმეში, კანონიერების განმტკიცების მიზნით, ადგილებზე მივლინებით შესწავლილ იქნა 54 სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს საქმიანობა. გადამოწმებულ იქნა 21767 საქმე, რის შედეგადაც, 120 შემთხვევაში შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი არ იქნა დადგენილი, 225-ს კი შეეცვალა ადრე დადგენილი შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხი. საექსპერტო დასკვნების გამოტანაში გამოვლენილი დარღვევებისა და გადაცდომებისათვის, ბიუროების 140 მუშაკზე გატარდა დისციპლინარული ზომები, მათ შორის, 3 პირი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2005 წელს კვლავ გაგრძელდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა. შეჯამებული მონაცემების მიხედვით, სოციალური დახმარება მიიღო 69 490 ოჯახმა (70147 ბენეფიციარი), ხოლო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საანგარიშო წელს არსებული პროგრამის დასაფინანსებლად გაიცა 19,4 მილიონი ლარი. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დაფინანსდა გასული წლის დავალიანება -

1,3 მილიონი ლარი. საბოლოო ჯამში, 2005 წელს სოციალური დახმარებების კუთხით სულ გაცემული იქნა 20,7 მილიონი ლარი.

"საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2005 წლის 4 იანვრის N16/ნ და 2005 წლის 5 აპრილის N103/ნ ბრძანებებით დამტკიცდა "საქართველოს შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (მათ შორის, ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ფულადი კომპენსაციით შეცვლის ოდენობები და გაცემის წესი. 2005 წლის შემაჯამებელი მონაცემების მიხედვით, გახარჯულ ელექტროენერგიაზე ფულადი ყოველთვიური კომპენსაცია მიიღო 108 913 პირმა, ხოლო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად გაიცა 13,0 მილიონი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაზე 2005 წელს დაგეგმილი იყო 97 087,3 ათასი ლარი. აქედან, საანგარიშო პერიოდში ფონდის მიერ სახაზინო სამსახურში რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 93 479,4 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯებით მთლიანად არის დაფარული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ხაზით 12 თვის (2004 წლის დეკემბრის და 2005 წლის იანვარ-ნოემბრის თვეების) შესასრულებელი სამუშაოები.

სამეთვალყურეო საბჭო გამორჩეულ ყურადღებას უთმობს უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების საპრეზიდენტო პროგრამის რეალიზაციის პროცესს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მაქსიმალური უზრუნველყოფით, სამეთვალყურეო საბჭო, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილებზე აკონტროლებდა პროგრამის ინსტალაციის და რეალიზაციის პროცესს.

"03"-ის პროგრამის ფარგლებში ფონდმა 2005 წელს გააფორმა ხელშეკრულება 68 სამედიცინო დაწესებულებასთან. 2005 წლის ივნისიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 219 სასწრაფო დახმარების ბრიგადა, 292 სპეციალიზირებული მანქანით. 2005 წლის ოქტომბრიდან ბრიგადების რაოდენობა 225-მდე გაიზარდა. სასწრაფო დახმარების პროგრამის დაფინანსებისათვის 2005 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 10 693 ათასი ლარი.

სამეთვალყურეო საბჭო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ტენდერების კანონიერების საკითხებს. საბჭოს სხდომაზე მოსმენილი იქნა სახელმწიფო პროგრამების ტენდერების მიმდინარეობის ანალიზი, შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით. 2005 წელს ფონდში სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გამოცხადდა 51 ტენდერი, რომელთაგან სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა 35 (28 ღია და 7 დახურული) და 14 ფასთა კოტირება. იმის გათვალისწინებით, რომ სამეთვალყურეო საბჭომ და დირექციამ ტენდერებთან დაკავშირებით მოთხოვნები გაამკაცრა, 16 ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულდა.

ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ზედამხედველობა და კონტროლი. შესაბამისად გამკაცრდა მოთხოვნები აღნიშნული სამსახურის მიმართ. ფონდის კონტროლისა და ზედამხედველობის ინსპექციის მიერ საანგარიშო წელს გამოვლენილია 4 536 545 ლარის არასწორად მოთხოვნისა და გაცემის ფაქტები. მათ შორის:

პენსიების დანიშვნა-გაცემის კანონიერების თემატური და დოკუმენტური შემოწმებებით გამოვლინდა 1 312 599 ლარის კანონის დარღვევით დანიშვნისა და გაცემის ფაქტები (ბაღდათის, დუშეთის, ახალქალაქის, მარტვილის, ჭიათურის, ქუთაისის, წალენჯიხის, დმანისის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ბოლნისის, ბათუმის, გორის, დედოფლისწყაროს, რუსთავის, ბორჯომის, ქ. თბილისის ფილიალებში). სოციალური დახმარებების დანიშვნა-გაცემის კანონიერების შემოწმებით გამოვლინდა 12 184 ლარის ზედმეტად გაცემის ფაქტები. კერძოდ, ყვარელის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილებაში I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე გამოვლინდა სოციალური დახმარების დანიშვნის ვადების დარღვევის ფაქტები, რის გამოც ზედმეტად გაიცა 10 780 ლარი, ხოლო სიღნაღის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილებაში - სოციალური დახმარების დანიშვნის ვადების დარღვევის ფაქტები, რის გამოც ზედმეტად გაიცა 1 404 ლარი.

დროებით შრომისუუნარობაზე გაწეული ხარჯების კანონიერების შემოწმებით გამოვლინდა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დარღვევით 15 362 ლარის ზედმეტად მოთხოვნის ფაქტები. აღნიშნული თანხის სახაზინო ანგარიშზე აღდგენის საკითხის გადასაწყვეტად წერილობითი ინფორმაცია გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს.

ფონდსა და ს/ს "სახალხო ბანკს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ინსპექტირებით გამოვლინდა 33 826 ლარის ზედმეტად ჩარიცხვის ფაქტები (მ.შ., დმანისი - 608 ლარი, ჩოხატაური - 4 153 ლარი, ლანჩხუთი - 2 554 ლარი, მარნეული - 8 511 ლარი).

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებზე ფონდსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ინსპექტირებით გამოვლინდა 3 141 036 ლარის არასწორად მოთხოვნის ფაქტები.

მასალები განხილულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, დირექციის მიერ გატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები და ამასთან, კუთვნილების შესაბამისად, რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს გენერალურ და რაიონულ პროკურატურას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის დეპარტამენტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაიონულ სასამართლოებს.

სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივით, საქველმოქმედო აქციის სახით, ფონდის თანამშრომელთა შემოწირულობებით, ამბროლაურის რაიონის სოფ. გლოლის სტიქიით დაზარალებულ 19 ყველაზე გაჭირვებულ ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება და გადაეცათ საოჯახო მოხმარების ნივთები და ტანსაცმელი.

სამეთვალყურეო საბჭო სოციალური სფეროს აქტუალურ საკითხებთან, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პრობლემებთან დაკავშირებით, კვლავ აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის პრეზიდენტის აპარატთან, პარლამენტთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან.

საქართველოს სოციალური დაზღვევის
ერთიანი სახელმწიფო ფონდის
სამეთვალყურეო საბჭო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ჯამრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების საქალაქო სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, ნინოშვილი ქ..N61), აცხადებს ტენდერს ქ.ქუთაისში მცხოვრები განსაკუთრებით გაჭირვებულთა უფასო კვების მომსახურებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

უფასო კვების პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობაა 600 პირი. მომსახურება ითვალისწინებს ერთჯერად უფასო კვებას კვირაში 5 დღე, მეექვსე დღეს გაიცემა მხოლოდ პური.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2006 წლის მაისი-დეკემბრი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 აპრილს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ.ქუთაისი, ნინოშვილის ქ. .N61 ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ჯამრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების საქალაქო სამსახური, სატენდერო კომისიის აპარატი, II სართული.

განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) სასამართლო დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ან მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან)

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადალის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

ე) წესდება ან დებულება (რეგისტრირებული).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | მიწოდებული ობიექტის (საქონელი, სამუშაო, მომსახურება) დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

ე) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| № | თანამდებობა | გვარი,სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |

ტენდერში მონაწილე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ქ.ქუთაისში კვების ობიექტის და მისი აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის შესახებ.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ფილიალი, თბილისი, მფო. 220101107, ს/კ 212831550, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდია - 300184040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 11 აპრილს 11 საათიდან 16 საათამდე მისამართზე: 4600, ნინოშვილის ქ.N61, ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ჯამრთელობის, სოცილარი დაცვისა და ვეტერანთა საქმეების საქალაქო სამსახური, სატენდერო კომისიის აპარატი, II სართული

7. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

8. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა მიუღებელია.

9. ტენდერში მონაწილეობისათვის დაუშვებელია სუბ-კონტრაქტორის გამოყენება.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან არჩილ მუკბანიანი, მისამართზე 4600, ქ.ქუთაისი, ნინოშვილის ქ N61 ტელ: (8231) 41142; 895 54 44 77 ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების საქალაქო სამსახური

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 2006-2007 წლების მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი: მორფინის ჰ/ქ 1% 1.0 - 1 140 000 ამპულა;**

**II ლოტი: მორფინის სულფატი (ტაბლეტები) 10 მგ N20 - 2 000 კოლოფი;**

**III ლოტი: მორფინის სულფატი (ტაბლეტები) 30 მგ N20 - 18 900 კოლოფი;**

**IV ლოტი: მორფინის სულფატი ტაბლეტირებული 60 მგ N60 - 30 კოლოფი.**

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 1 დეკემბრამდე. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, პირობით:L **INCOTERMS**-2000, **DDP** - თბილისი, უზნაძის ქ. N76/1 ან **CIP** - თბილისის აეროპორტი.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 25 აპრილის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 26 აპრილს 10 საათიდან 15 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;

გ) პრეტენდენტის წესდება;

დ) ცნობა პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ.

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა;

ბ) ლიცენზია ნარკოტიკული საშუალებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და საბითუმო რეალიზაციის (ფარმაცევტული ბაზა) შესახებ.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები) თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

10. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. ხელშეკრულება გაფორმდება ტენდერში გამარჯვებულ პირსა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს შორის, საქონლის შესაძენად კონკრეტული საფინანსო (საბიუჯეტო) წლისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესაბამისად.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: **Procurement-ge@yahoo.com**.

**სატენდერო კომისია**

# კონკურსის პირობები:

**კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.**

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე - პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**I. სასამართლოს ცენტრალური აპარატი**

**1. აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება;
- სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" და საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**II. სასამართლო სტატისტიკის განყოფილება**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სტატისტიკის საფუძვლებისა და ორგანიზაციის ცოდნა;
- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" ნორმატიული აქტების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**III. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბიურო**

**საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, სამეწარმეო, სამოქალაქო-საპროცესო სამართლისა და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;
- ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სხდომის მდივნის თანამდებობაზე:**
- იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა;
- საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**კანცელარია (განყოფილება)**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**საფინანსო-სამეურნეო განყოფილება**

**1. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- Windows 2000/2003 Server - ადმინისტრირების საწყისების (მომხმარებელთა, ქსელური რესურსების, უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა) ცოდნა;
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების (კომპიუტერების, საბეჭდი და პერიფერიული მოწყობილობების ინსტალაცია, პრობლემების დიაგნოსტიკა) ცოდნა;
- მონაცემთა ბაზების რომელიმე სისტემის საწყის დონეზე ადმინისტრირებისა და საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

**IV. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიურო**

**1. ბიუროს უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის კარგი ცოდნა;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა;
- სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;
- ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების ცოდნა;
- სამოსმართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სხდომის მდივნის თანამდებობაზე:**
- იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა;
- საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. ოპერატორის თანამდებობაზე:**
- საშუალო ან სპეციალური განათლება;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**კანცელარია (განყოფილება)**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა,
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**საფინანსო-სამეურნეო განყოფილება**

**1. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- Windows 2000/2003 Server - ადმინისტრირების საწყისების (მომხმარებელთა, ქსელური რესურსების, უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა) ცოდნა;
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების (კომპიუტერების, საბეჭდი და პერიფერიული მოწყობილობების ინსტალახია, პრობლემების დაგნოსტიკა) ცოდნა;
- მონაცემთა ბაზების რომელიმე სისტემის საწყის დონეზე ადმინისტრირებისა და საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

**V. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიურო**

**1. ბიუროს უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-საპროცესო, საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულებისა და სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**საორგანიზაციო საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საერთო სასამართლოების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა.
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-საპროცესო, საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობის ცოდნა; სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა; ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა;
- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში სპეციალური სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკელებ 1 წლის გამოცდილება ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სხდომის მდივნის თანამდებობაზე:**
- იურიდიული განათლება;
- ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**კანცელარია (განყოფილება)**

**1. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**საფინანსო-სამეურნეო განყოფილება**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის, ფინანსების შესახებ და "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- Windows 2000/2003 Server - ადმინისტრირების საწყისების (მომხმარებელთა, ქსელური რესურსების, უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა) ცოდნა;
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების (კომპიუტერების, საბეჭდი და პერიფერიული მოწყობილობების ინსტალაცია, პრობლემების დიაგნოსტიკა) ცოდნა;
- მონაცემთა ბაზების რომელიმე სისტემის საწყის დონეზე ადმინისტრირებისა და საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

კონკურსს ატარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო -საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლებისა ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა (დიპლომი);
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.
4. პირადობის მოწმობის ასლი

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტებისათვის (გარდა იმ პირებისა, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი და ჩაბარებული აქვთ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა) კონკურსი გაიმართება ტესტირებისა და გასაუბრების ფორმით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: 0131, ქ. თბილისი, დავით ალმაშენებლის ხეივანი XII კმ. N6;

**საჯარო სამსახურის ბიურო.**

ტ. 53-08-35; 53-09-28.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, დიდი დიღმის მაგისტრალური გზის გასწვრივ წყლების მოცილების ღონისძიებების (II რიგი) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უნდა ჩატარდეს 2006 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, მათ შორის: არსებული სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის გადატანა, კოლექტორის ნაწილის მშენებლობა დრენაჟით და დამატებითი სამუშაოები.

*2*. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბერი.

*3*. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 26 აპრილის 12 საათიდან 2006 წლის 26 აპრილის 16.30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 4 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელსეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ივანე კვინიკაძერ - საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# ქართველი დღეგრძელები უკრაინაში



ამ დღეებში უკრაინაში, კიევის მედიცინის მუზეუმში, ქართული კულტურის დღეების ფარგლებში, ფოტოგრაფ გოგა ჩანადირის პერსონალური გამოფენა მიმდინარეობს.

გამოფენაზე, რომელიც კომპანია "თელიანი ველის" ფინანსური მხარდაჭერით 5 აპრილამდე გაგრძელდება, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ასწლოვანი დღეგრძელების 40 ფოტოა წარდგენილი. მასალის შესაგროვებლად ავტორმა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე მოიარა. ამ თემაზე მუშაობას ის ახლო მომავალშიც გააგრძელებს.

გოგა ჩანადირის განცხადებით, ფოტონატურებიდან მხოლოდ სამია მამაკაცი. გასაკვირი არც არის, რადგან მსოფლიო ტენდენციების მიხედვითაც, ქალთა სიცოცხლე მამაკაცებზე გაცილებით ხანგრძლივია, თუმცა ბევრ რამეს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი და საკვებიც განაპირობებს.

თემატურად გაერთიანებულ დღეგრძელთა ფოტოსერიაში ყველაზე ხანდაზმული 119 წლის ქობულეთელი სურიე ქურციკიძეა. თითოეულ ნამუშევარს მცირე რეზიუმე - კონკრეტული პიროვნების ისტორიაც ახლავს. გოგა ჩანადირის თქმით, მისი პროექტის მიზანია წარმოაჩინოს, ას წელს გადაცილებული რამდენი დღეგრძელი ცხოვრობს და საქმიანობს ქვეყნაში. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მათი რიცხვი 1017-ია, აქედან 67 თბილისელია. შეგახსენებთ, რომ ყველაზე მეტი ხანდაზმული აჭარაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში ცხოვრობს.

ფოტონამუშევართა ავტორი მსგავსი გამოფენების მოწყობას სხვა ქვეყნებშიც გეგმავს.

# რახმანინოვის დღეები ნოვგოროდში

დიდ ნოვგოროდში გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის, პიანისტისა და დირიჟორის სერგეი რახმანინოვის ხსოვნის დღეები დაიწყო. 28 მარტი მისი გარდაცვალების დღეა. ამ დღეს სოფიის ტაძარში რახმანინოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი გადაიხადეს.

ხსოვნის დღეების პროგრამა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რახმანინოვის სახელობის მუსიკალური კულტურის ცენტრში და ნოვგორდის კრემლის მუზეუმში განახლდა კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია.

დიდი ყურადღება ექცევა რახმანინოვის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდს, რომლის დროსაც იგი დიდ დახმარებას უწევდა რუსეთს დიდი სამამულო ომის წლებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ კონცერტებზე გამომუშავებული თანხის გადმორიცხვით.

*მედიანიუსი*

# "ერისიონი" კიევში მიემგზავრება

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "ერისიონი" საქართველოს დღეებში მონაწილეობის მისალებად უკრაინაში გაემგზავრება.

როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა განაცხადა, ანსამბლი უკრაინაში 7 აპრილს წავა და იმავე რეპერტუარით წარდგება მაყურებლის წინაშე, რომლითაც აქამდე გამოდიოდა. მისივე თქმით, ანსამბლს აპრილის ბოლოს დაგეგმილი აქვს გასტროლები სანქტ-პეტერბურგში, საიდანაც კვლავ უკრაინას ეწვევა და კიევსა და სხვა ქალაქებში გამართავს წარმოდგენებს.

*პრაიმ-ნიუსი*

# ფრანგი დოკუმენტალისტები სემინარებს გამართავენ

საფრანგეთის მხარე ქართველ პარტნიორებთან ერთად აცხადებს მიღებას დოკუმენტური ფილმების გადაღების სამთვიან პრაქტიკულ სასწავლო კურსზე. სწავლება-სემინარი თბილისში 24 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე ჩატარდება.

როგორც კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრიდან გვაცნობეს, კურსს წარუძღვებიან ვარანის სახელოსნოს ფრანგი დოკუმენტალისტები.

პრაქტიკული სასწავლო კურსი ჩატარდება სამ ეტაპად, რუსულ ენაზე. სწავლება ითვალისწინებს ტექნიკური საშუალებების გაცნობას, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ფილმების ანალიზს, გადაღებასა და მონტაჟს.

დოკუმენტური ფილმების გადაღების სამთვიან კურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დოკუმენტური ფილმების როგორც დამწყებ, ისე ცნობილ რეჟისორებსა და არაპროფესიონალებს საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.

განაცხადები საფრანგეთის საელჩოში 15 აპრილამდე მიიღება.

პროექტის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან საფრანგეთის საელჩოები საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, საფრანგეთის ტელევიზია "არტე", საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა), ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზია.

# ყველაზე სექსუალური ქალი

ჟურნალ FHM-ის მკითხველებში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სკარლეტ იოჰანსონი პირველ ადგილზე გავიდა "მსოფლიოს ას ყველაზე სექსუალურ ქალს" შორის. 21 წლის მსახიობი აცხადებს: "ქალის ყურს ყველაზე მეტად სწორედ ამის მოსმენა სიამოვნებს - რომ ის სექსუალურია. ამიტომ დიდ მადლობას ვუხდი FHM-ის მკითხველს ამ უზარმაზარი კომპლიმენტისთვის".

შარშან იგივე ჟურნალის მიერ შედგენილ ასეულში ანჯელინა ჯოლი ლიდერობდა, იოჰანსონი კი მეორე ადგილზე იყო. წელს ჰოლივუდის ამ ორმა ყველაზე სექსუალურმა ქალბატონმა როლები გაცვალა და ჯოლი მეორე ადგილს დასჯერდა. შემდეგი ადგილები ათეულში ჯესიკა ალბამ, ჯესიკა სიმპსონმა, ქეირა ნაითლიმ, ჰოლი ბერიმ, ჯენი მაქართიმ, მარია შარაპოვამ, კარმენ ელექტრამ და ტერი ჰეტჩერმა გაიყვეს.

ჟურნალის ამერიკული ფილიალის რედაქტორი სკოტ გრემლინგი აცხადებს: "სკარლეტ იოჰანსონი ჩვენი მკითხველის ფავორიტია. მისი ვნებიანი ხმა და გარეგნული მშვენება ცალსახად განსაზღვრავს მის სექსუალობას, მაგრამ ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ უჭირავს თავი. მისი უშუალო ქცევიდან აშკარად ჩანს, რომ სკარლეტი ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს წითელ ხალიჩაზეც და მაშინაც, როცა ბიჭებთან ერთად კლუბში გასართობად მიდის".

დანარჩენს სექსუალურთა ასეულის შესახებ თავად ჟურნალიდან შევიტყობთ. FHM-ის მაისის ნომერი 4 აპრილს ჩაეშვება გაყიდვაში.

# გრეისლენდი თეთრ სახლს გაუტოლდა



ელვის პრესლის მემფისური სახლი გრეისლენდი აშშ-ს ნაციონალური ისტორიული მხარეების სიაში შეიყვანეს. ადრე ამ ნუსხაში მხოლოდ ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტების სახლები ერთიანდებოდა, ახლა კი 1977 წელს აშენებული გრეისლენდი თეთრი სახლის, მაუთ ვერნონისა და მონტიჩელოს რიგებში დგება და ამით ამერიკის ყველაზე მეტად დაფასებული ისტორიული ნაგებობა ხდება.

მემფისში გამართულ ცერემონიალზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ მეოცე საუკუნის ისტორიას სრულყოფილი სახე ვერ ექნება, თუ მომავალ თაობას არ ვუამბობთ იმ ლეგენდარული შემსრულებლის შესახებ, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა. ელვის პრესლის ვერავინ დაივიწყებს.

ელვის პრესლის ყოფილი მეუღლის, პრისცილას თქმით, გრეისლენდის რეზიდენცია 1991 წლიდან იყო აღრიცხვაზე აყვანილი. მომღერალმა ეს სახლი 1957 წელს 103 ათას დოლარად იყიდა, მას შემდეგ, რაც მისი ჩანაწერი Heartbreak Hotel გამოვიდა. ელვისის გარდაცვალების შემდეგ სტუმრები რეზიდენციას არასდროს ელევა. ყოველწლიურად გრეისლენდში 600 ათასამდე ტურისტი ჩადის, რის გამოც ის ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახლ-მუზეუმი გახლავთ.

# მხიარული სამყარო

მზევინარ ხუციშვილი

ყოველი დღე დღესასწაული არ არის, მაგრამ თითოეული მათგანი გვიტოვებს რაღაცას, თუნდაც იმედს, რომ ხვალ ყველაფერი უკეთესად იქნება. პირველი აპრილი ზოგიერთისთვის ტყუილების, ზოგისთვის მხიარულების, გართობის და იუმორის დღეა. ზაალ სულაკაურისთვის იგი ტრადიციაა. ყოველი წლის პირველ აპრილს შემოქმედი ქართველ საზოგადოებას თავის ნამუშევრებს სთავაზობს. ტრადიციას არც წელს უღალატა და გალერეა "ჰობიში" ძველი და ოცამდე ახალი ნამუშევარი შემოგვთავაზა, მათ შორის ანეკდოტებიც, რასაც კარიკატურებისა და მხიარული ნახატების სამყარო უწოდა. მისი შემოქმედება დიდი ხანია ერთნაირად იზიდავს ყველა თაობის ადამიანს. ამიტომ იქ მყოფთა ჩამოთვლას არ შევუდგები. კარიკატურებზე კი ვის არ ნახავდით - პოლიტიკოსები, ჰოლივუდის ვარსკვლავები, მომღერლები... თითქოს ყველა ერთად გაცოცხლებულიყო ჩვენს თვალწინ.

**- რატომ მაინცდამაინც პირველი აპრილი?**

- იმიტომ, რომ ეს დღე მხიარული განწყობის დღეა. ყველა დავიღალეთ ყოველდღიური პრობლემებით და მინდა ვიყოთ მხიარულები და ბედნიერები...

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე მისი მოწაფეების ნამუშევრებიც, რომლებსაც იგი "პატარა ზალიკოებს" უწოდებს. "ძალიან მინდა ჩემს შემდეგ მათ გააგრძელონ ჩემი შემოქმედება, ვიღაცამ ხომ უნდა გაამხიარულოს ხალხი". ერთ-ერთმა მოწაფემ ნატო მამაგულაშვილმა აღნიშნა, რომ "ზალიკო არა მარტო მეგობარია, არამედ პედაგოგი, რომელმაც ხელოვნების სიყვარული ასწავლა."




გამოფენის ორგანიზატორია info - tbilisi. Group. (თქვენი გზამკვლევი თბილისში), რომლის მეშვეობით ზაალ სულაკაურმა საკუთარი სამხატვრო სტუდია ჩამოაყალიბა. როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა დავით მგალობლიშვილმა აღნიშნა: "ზაალი ნიჭიერი და სუფთა ხელოვანია, შეუძლებელია იყო მის გვერდით, ხედავდე, როგორ უანგაროდ მუშაობს და არ მოგინდეს, რომ დაეხმარო. ასე რომ, დაათვალიერეთ, გაერთეთ და იყავით მხიარულები."

თავად შემოქმედი ბევრს ხუმრობდა, საზოგადოებაც მასთან ერთად მხიარულობდა. მათთვის კი, ვისაც ჯერ არ უნახავს მისი შემოქმედება, გამოფენა კიდევ ერთ კვირას გაგრძელდება.

# გზა ევროპული სახლისკენ კულტურაზეც გადის

სოფო კილასონია

ევროპული მუზეუმები მაისისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან. საქმე ის გახლავთ, რომ 1500 ევროპული მუზეუმი "მუზეუმის ღამეში" მიიღებს მონაწილეობას. ეს ამბავი წმინდა წყლის ფრანგული წამოწყებაა. ალბათ ამიტომაც ამ რაოდენობიდან 850 მუზეუმი ფრანგულია.

ჯადოსნური ღამე ტურისტებისთვის 20 მაისს დადგება. საღამოს 7 საათიდან გათენებამდე ყველა ევროპული მუზეუმის კარი გაიღება მათთვის და ამ სიამოვნებას სრულიად უფასოდ მიიღებს ნებისმიერი მსურველი. ის, თუ რას მოასწრებენ ისინი ერთი ღამის განმავლობაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამაზე მუზეუმთა ხელმძღვანელობა ნაკლებად დარდობს, მათთვის მთავარია სასწაული შედგეს და ყველა მონაწილე მუზეუმის ჯადოსნური კარი ერთდროულად გაიღოს.

ძლიერი მობილიზაცია და წინასწარი სამუშაოები უკვე დაიწყო იტალიის, ბელგიის, გერმანიის, პოლონეთის, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის წამყვან თუ ნაკლებად ცნობილ მუზეუმებში. ამ აქციაში ჩართვა, როგორც ჩანს, ნებისმიერ ქვეყანას შეეძლო და შეუძლია. 2006 წლის "მუზეუმის ღამის" სიახლე რამდენიმე ახალი ქვეყნის შემოერთება ყოფილა. ახალბედებს შორის არიან: ავსტრია, ალბანეთი, ფინეთი, ისლანდია, ესტონეთი, კიდევ რამენიმე სხვა და, რა თქმა უნდა, თურქეთი. მასშტაბური აქცია ტარდება ევროგაერთიანების საბჭოსა და საერთაშორისო სამუზეუმო ჟურნალ "ICOM"-ის პატრონაჟით. ასე რომ, თურქეთის გააქტიურება ამ მიმართულებით სრულიად გასაგებია. თუმცა, არ ღირს მეზობელ სახელმწიფოს ქვენა აზრებში დავდოთ ბრალი. სამუზეუმო საქმე და მასთან ერთად ტურიზმი იქ ჩვენთან შედარებით ბევრად უფრო გამართული რომ არის, რად უნდა ამას ხაზგასმა და ბევრი ლაპარაკი. ახლა "გაფრენილი" კითხვის დრო დადგა: რატომ არ შეიძლებოდა მსგავს ღონისძიებაში ჩვენც ჩავრთულიყავით? ისევ და ისევ პესიმისტური პასუხი: როგორ უნდა ჩავრთულიყავით, როცა ჩვენი მუზეუმები დღისით ვერ ახერხებენ დამთვალიერებლის შენობაში შეტყუებას, ღამით კი მხოლოდ ღამურებს თუ მოუყრიან თავს...

## მოკლედ

### საქართველოს ბიბლიოთეკა - მსოფლიო ლიდერი

იუნესკოს სტატისტიკური ბიუროს მონაცემებზე დაყრდნობით აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო Washington ProFile ავრცელებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც საქართველო ბიბლიოთეკებში არსებული წიგნების რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო ლიდერია. იმავე მონაცემების თანახმად, ჩვენს ქვეყანაში 1000 სულზე 15 400 წიგნი მოდის.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შედგენილ რეიტინგში საქართველოს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მონაკო და ლიხშტენშტაინი, სადაც შესაბამისად 1000 სულ მოსახელზე 9910 და 5100 საბიბლიოთეკო წიგნი მოდის. მსოფლიო ლიდერთა ათეულში სან-მარინო, (3858), ისლანდია (3007), სომხეთი (2056), ლუქსემბურგი (1783) ესტონეთი (1613), ლიტვა (1599) და მაკედონია (1451) შედის.

აღსანიშნავია, რომ რეიტინგში რუსეთი 26-ე (507 წიგნი 1000 სულზე), დიდი ბრიტანეთი 31-ე, გერმანია 32-ე, ხოლო საფრანგეთი 46-ე ადგილს იკავებს.

ბიბლიოთეკებში ყველაზე ცოტა წიგნი ინახება ბანგლადეშში, სადაც ათას სულ მოსახლეზე 00,1 წიგნი მოდის.

იუნესკოს ექსპერტთა დასკვნის თანახმად, მსოფლიოში საშუალოდ 1000 სულ მოსახლეზე 236 საბიბლიოთეკო წიგნი მოდის.

### ალტერნატიული თეატრი გორში

გორის აკადემიური თეატრის დასის ყოფილმა წევრებმა გორში შექმნეს ახალი დასი, რომელსაც "ალტერნატიული თეატრი" უწოდეს. დასს თეატრის ყოფილი დირექტორი კახა ბერიძე ხელმძღვანელობს.

"ალტერნატიული თეატრის" დასის წევრებმა პირველ სპექტაკლად "ნაცარქექია" წარმოადგინეს.

კახა ბერიძის თქმით, "ალტერნატიული თეატრი" უახლოეს მომავალში თავის სიტყვას იტყვის.

გორის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი რამაზ იოსელიანის ხელმძღვანელობით თბილისში გასტროლებზე იმყოფება და სპექტაკლებს "თავისუფალი თეატრის" მცირე დარბაზში დგამს. მსახიობებს დიდ დარბაზში მუშაობის საშუალება არ ეძლევათ, რადგან ჭერი ავარიულ მდგომარეობაშია და შესაძლოა, ჩამოინგრეს.

თეატრის ხელმძღვანელობის განცხადებით, ჭერის შესაკეთებლად 160 000 ლარია საჭირო.

აკადემიური და ალტერნატიული თეატრების მსახიობები მიიჩნევენ, რომ დასებს შორის კონკურენცია გორელ მაყურებელს თავისუფალი არჩევანის საშუალებას მისცემს. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს**

**2007 წელს**

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**

**წარმოების დასაფინანსებლად.**

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75 პროცენტით. კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 500 ათას ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 8 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში (N 06) და ვერ მოაგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 22 მაისი 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებ-გვერდზე.

კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: www.filmcenter.ge

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

აშშ-ს ბირჟა ნავთობის გამო შემცირდა

Forbes-მა კომპანიათა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა B3

მდგრადი განვითარების კომისიის მე-14 სესიას ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი უხელმძღვანელებს B4



ქართველი მეწარმეები ალტერნატიული ბაზრების ძიებაში B4

## ხელისუფლების და მეწარმეების დიალოგი ვერ შედგა

### მეღვინეების გასაჭირი

ნინო ნატროშვილი

*ქართველი მეღვინეები რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას ცდილობენ. თუმცა, გუშინ "შერატონ მეტეხში" პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღიდელის და ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელების შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. მასმედიისათვის დახურულ შეხვედრას ფინანსთა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის მინისტრები და სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ესწრებოდნენ.*

- **პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვში ვიზიტს გეგმავს.**
- **ცხადია, რომ ის კომპანიები, რომლებიც ამ კრიზისს ვერ გაუძლებენ, გაკოტრდებიან.**
- **ინფორმაცია ქართული ღვინის ხარისხიანობის შესახებ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.**
- **ხელისუფლება ამზადებს ქართული ღვინის რეკლამირების გეგმას, რომელიც, პირველ რიგში, რუსეთის ბაზარზე უნდა განხორციელდეს.**



B4

## ვინ სად განათავსებს კაპიტალს?

### "გაერთიანებული ქართული ბანკისა" და "ყაზბეგის" აქციების ფასი გაიზარდა

- **სსბ-ზე მარტში ყველაზე აქტიურად ვაჭრობა კვლავ "საქართველოს ბანკის" აქციებზე მიმდინარეობდა.**
- **საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) მარტში 9 სავაჭრო სესია გაიმართა. დაიდო 289 გარიგება, გარიგებათა მოცულობამ 452 931 ფასიანი აქცია, მათმა ღირებულებამ კი - 1 205 705 ლარი შეადგინა.**




| | გარიგებათა რაოდენობა | გარიგებათა ღირებულება (ლარი) | გარიგებათა მოცულობა (ფ/ქ) |
|---|---|---|---|
| 30 მარტი | 34 | 97 659 | 10 131 |
| 28 მარტი | 61 | 138 429 | 18 259 |
| 23 მარტი | 42 | 267 221 | 19 828 |
| 21 მარტი | 18 | 212 619 | 21 681 |
| 16 მარტი | 14 | 91 592 | 65 402 |
| 14 მარტი | 22 | 100 418 | 46 021 |
| 09 მარტი | 44 | 90 751 | 102 581 |
| 07 მარტი | 19 | 108 163 | 129 321 |
| 02 მარტი | 35 | 98 850 | 39 707 |
| *სულ:* | *289* | *1 205 705* | *452 931* |

| თვე | გარიგებათა რაოდენობა | გარიგებათა ღირებულება (ლარი) | გარიგებათა მოცულობა (ფ/ქ) |
|---|---|---|---|
| იანვარი | 179 | 1 222 232 | 337 781 |
| თებერვალი | 223 | 2 972 461 | 201 835 |
| მარტი | 289 | 1 205 705 | 452 931 |

თინა შავაძე

*ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის საფონდო ბირჟა ის სარკეა, სადაც ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების დადებითი და უარყოფითი მხარეები აირეკლება. ბირჟა მესიჯს უგზავნის მთავრობას, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას და ქვეყნის როგორი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გაატაროს. რევოლუციის შემდეგ, უცხოური მსხვილი კორპორაციების წარმომადენლები საქართველოს ბირჟაზე რეკავდნენ და კითხულობდნენ, მოსალოდნელი ხომ არ იყო მიმზიდველი საწარმოების აქციების გაყიდვა. რამდენიმე თვის შემდეგ უცხოელ ინვესტორებს ინტერესი დაეკარგათ, და ეს ბუნებრივიცაა, ბირჟაზე რადიკალური ცვლილებები არ მოხდა. თითქმის იგივე, კერძო კორპორაციების აქციები იყიდება და ამასთან, ისე როგორც წინა ხელისუფლების დროს, ახალი მიმზიდველი საწარმოების აქციები ბირჟაზე არ ჩანს.*

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, გასულ წელთან შედარებით, საბირჟო ვაჭრობაზე ახალი ტენდენცია მაინც შეინიშნება - გარიგებების დროს განსაკუთრებული აქტიურობა აღინიშნება გარესაბირჟო ბაზარზე ვაჭრობისას (ანუ ოპერაციები იმ საჯარო და არასაჯარო, მაგრამ ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოებების აქციებით, რომლებიც საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში არ იმყოფება). ბირჟის ერთ-ერთი ლიდერის, საინვესტიციო კომპანია "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" განცხადებით, გასულ სამ თვეში კომპანიის გარესაბირჟო და საბირჟო ოპერაციების მოცულობამ 40 მილიონ 139 ათას 709 ლარს გადააჭარბა, გასხვისდა 16 მილიონ 671 ათასი 271 აქცია, ხოლო გარიგებათა რაოდენობამ 1 139 შეადგინა, რაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე ამ კომპანიის და მისი ბროკერების მიერ ჩატარებული ოპერაციების აბსოლუტური რეკორდია. კომპანიის მიერ გასულ სამ თვეში გაწეული მომსახურების ჯამი უკვე აჭარბებს 2005 წლის ჯამურ შედეგს.

B2

**მარტში დადებულ გარიგებებათა ღირებულება კომპანიების მიხედვით:**

| | | ლარი |
|---|---|---|
| GEB | საქართველოს ბანკი | 780 802 |
| VERE | ლაგუნა ვერე | 191 485 |
| #PCB1T | პროკრედიტ ბანკი (ობლიგაციები) | 114 819 |
| UTB | უნივერმაღი "თბილისი" | 22 599 |
| სხვა: | | 98 000 |




### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3067 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0088 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4972 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8260 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8489 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1321 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2967 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3185 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2130 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4153 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3512 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3566 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1554 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1750 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,2001 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2588 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,3917 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5726 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1375 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3755 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3971 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2780 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5630 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6135 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1286 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4049 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5682 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,5091 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6084 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8343 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2528 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1423 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4414 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2353 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4016 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0775 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2278 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2353 |



## საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთვის მორიგი ტრანშის გამოყოფის საკითხი დაამტკიცა




ტაკატოში კატო

საბჭომ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის მესამე მიმოხილვის ფარგლებში, 20.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მორიგი ტრანშის გამოყოფის შესახებ, გადაწყვეტილება მიიღო. 31 მარტს ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე დადებითად შეფასდა საქართველოში სიღარიბის დაძლევის სამწლიანი პროგრამის მიმდინარეობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია ქვეყანაში სიღარიბის შემცირების, ეკონომიკური ზრდის და სტრუქტურული რეფორმების გატარებისათვის.

როგორც დირექტორთა საბჭოს სხდომაზე ითქვა, "ქვეყანას გააჩნია მიმზიდველი პერსპექტივები, რადგან მთავრობა აგრძელებს დაწყებულ რეფორმებს და წარმატებით ახორციელებს საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას. ამ ტენდენციის საფუძველზე სავალუტო ფონდის მისიის თბილისში მუშაობისას მივიღეთ გადაწყვეტილება, ქვეყნის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგისას აღარ გამოგვეყენებინა საგადასახადო შემოსავლების მობილიზების დონე, საქართველო აღარ საჭიროებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პერიოდულ შემოწმებებსა და მონიტორინგს ამ თვალსაზრისით. ეს არის კიდევ ერთი დასტური იმ ფაქტისა, რომ საქართველო განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდა." საქართველოში მიმდინარე პროცესების განხილვისას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველმა დირექტორმა ტაკატოში კატომ განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკაში დაჩქარებული ტემპებით გრძელდება რეფორმების პროცესი. საქართველოს ხელისუფლება ასრულებს აღებულ ვალდებულებებს და ამყარებს ფინანსურ წესრიგს, ზრდის საგადახადო შემოსავლებს. ამასთან, მთავრობა ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის განვითარებისა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ახორციელებს სტრუქტურულ რეფორმებს.

## 2005 წლის განმავლობაში სადგურებისა და იმპორტიორების მიერ მიწოდებული ელექტროენერგია

2005 წლის განმავლობაში გადაცემის ქსელში სადგურებისა და იმპორტიორების მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობამ სულ 8,279 მილიარდი კილოვატსაათი შეადგინა.

მათ შორის ძირითადი წილი, ანუ 71,53 პროცენტი ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. მომდევნო ადგილზეა იმპორტი, რომლის წილმა - 16,89 პროცენტი შეადგინა. ბოლო პოზიციას კი იკავებენ თბოსადგურები, რომელთა წილი ქსელისათვის მიწოდებული ელქტროენერგიის მთლიან რაოდენობაში 11,58 პროცენტია. კერძოდ, გასულ წელს ჰიდროსადგურების მიერ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის საერთო რაოდენობამ 5,92 მილიარდი კილოვატსაათი შედაგინა. თბოსადგურების მიერ მიწოდებული იქნა 0,958 მილიარდი კვტსთ, ხოლო იმპორტის სახით - 1,399 კვტსთ ელექტროენერგია.

ჰიდროსადგურების მიერ ქსელისათვის მიწოდებული ენერგიის საერთო რაოდენობაში ძირითადი წილი ენგურჰესს, ვარციხეჰესს, ჟინვალჰესს, ვარდნილჰესსა და რიონჰესს უკავია.

კერძოდ ენგურჰესის მიერ გასული წლის განმავლობაში ქსელისათვის სულ მიწოდებული იქნა 2,535 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც ჰიდროსადგურების მიერ მიწოდებული ენერგიის 42,81 პროცენტია; 674 მილიონი კილოვატსაათი მოდის ვარციხეჰესზე, რომლის წილიც 11,38 პროცენტია; 402 მილიონი კილოვატსაათი მიაწოდა ქსელს ჟინვალჰესმა, რომლის წილიც 6,78 პროცენტია; 7,18 პროცენტი მოდის ვარდნილჰესზე, რომელმაც ქსელს 425 მილიონი კილოვატსაათი მიაწოდა და 5 პროცენტი მოდის რიონჰესზე, მან სისტემას 296 მილიონი კილოვატსაათი მიაწოდა. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რამდენიმე ობიექტი გასაყიდად გამოაქვს

დღეიდან განაცხადების მიღება დაიწყება "ორხევის სატრანსპორტო საწარმოს" შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის გასაყიდად. საწყისი გასაყიდი ფასი 200 000 დოლარია.

იყიდება თბილისში ხმელინცკის ქუჩა N181-ში მდებარე შენობა-ნეგებობები და მიწის ფართი (2 792კვ.მ), რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 100 000 დოლარია.

იყიდება "ქართული პურის", ყოფილი N9 მექანიკური თონის, შენობა-ნაგებობა, რომელიც ჭიჭინაძის ქუჩაზე N6-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 50 000 დოლარია. ასევე, იყიდება თბილისში ჩარგლის ქუჩაზე N67-ში მდებარე ორსართულიანი შენობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 40 0000 დოლარია. გასაყიდი ობიექტების სიაშია უმოქმედო, ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულება და მიწის ფართი, რომლის საწყისი ფასი 160 000 დოლარია. ობიექტი მცხეთის რაიონში დაბა ზაჰესში მდებარეობს. სოფელ კოჯორში მდებარე შსს-ს ყოფილი პირველი და მეორე კორპუსები და მიწის ნაკვეთი კი 50 000 დოლარად იყიდება. აღნიშნულ ობიექტებზე განაცხადების წარდგენის ვადა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 4 მაისს 17 საათზე იწურება, აუქციონი კი ამავე დღეს 18 საათზე გაიმართება.

აღნიშნული პრივატიზაციიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტში ნახევარ მილიონ დოლარზე მეტის მობილიზებას გეგმავს. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე მდებარე შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი 3 მილიონ დოლარად იყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აღნიშნული ობიექტის პრივატიზაციის მიზნით განაცხადების მიღებას დღეიდან დაიწყებს. შენობა-ნაგებობები შვიდ ლოტად არის დაყოფილი. მიწის ფართის სიდიდე კი 23 850 კვადრატული მეტრია. ობიექტის ყიდვის მსურველმა ბეს სახით 300 000 დოოლარი უნდა გადაიხადოს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადების მიღების ვადა 4 მაისს ამოიწურება, აუქციონი კი ამავე დღეს 18 საათზე გაიმარეთება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# ვინ სად განათავსებს კაპიტალს?

## "გაერთიანებული ქართული ბანკისა" და "ყაზბეგის" აქციების ფასი გაიზარდა

პირველი გვერდიდან

გასული სამი თვის განმავლობაში საქართველოს საფონდო ბირჟაზე განხორციელდა 289 გარიგება სააქციო საზოგადოების 27 საეხობის აქციაზე და ობლიგაციაზე. ბირჟის ჯამურმა ბრუნვამ მილლიონ 205 ათას 705 ლარი შეადგინა. გასხვისებულია 452 ათას 931 აქცია და გაიმართა 9 სავაჭრო სესია. შესაბამისად, მიმდინარე წლის პირველი სამი თვის განმავლობაში განხორციელდა 691 გარიგება, ჯამური თანხით 5 მილიონ 400 ათას 398 ლარზე, ხოლო გასხვისდა 992 ათას 547 აქცია.

მარტში საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფულადი ბრუნვის მხრივ გამოირჩეოდა სს "საქართველოს ბანკი" - 780801,7 ლარი, რაც მთელი მარტის ბრუნვის 64.79 პროცენტს შეადგენს, წილობრივი ბრუნვით ლიდერობენ - სს "ლაგუნე ვერე" - 62 პროცენტი და სს "ქუთაისის ავტოსერვისი რაში" - 51,012 პროცენტი. რამდენიმე საწარმოს მიმზიდველობა გაიზარდა, რაც აქციათა ფასის ზრდაში გამოიხატა. სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციის ფასი 2 ლარს გაუტოდა, ხოლო სს "ყაზბეგის" - 7.51 ლარს აღწევს.

სტაბილური მოთხოვნაა სს "სახალხო ბანკის" აქციებზე - 0.90 ლარი თითო აქციაზე. გასული წლიდან ბირჟის სავაჭრო სისტემაში გასაყიდად გამოტანილია სს "უნივერმაღი თბილისის" აქციები. იყიდება ამ ობიექტის აქციების 84 პროცენტი. ექსპერტების თქმით, ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ამ სავაჭრო ცენტრის კვადრატული მეტრის ფასი სულ რაღაც 1500-1600 აშშ დოლარის ტოლია მაშინ, როცა თავისუფლების მოედანზე 1 კვ.ფართის ფასი სტაბილურად იზრდება და ბოლო მონაცემებით ის 7500-8000 აშშ დოლარსაც კი აღწევს (საშუალოდ 4500-5000 დოლარი 1კვ.მ). ამ მხრივ სს "უნივერმაღ თბილისის" 1 კვ.მ 1500-1600 აშშ დოლარი საკმაოდ იაფად და პერსპექტიულად გამოიყურება. მიუხედავად ამისა, ობიექტის აქციების მიმართ დიდი დაინტერესება არ იგრძნობა. პოტენციური ადგილობრივი ინვესტორები, კაპიტალს მშენებარე სახლებში უფრო ანთავსებენ, ვიდრე პერსპექტიული საწარმოს აქციებში. პოტენციური მყიდველების ერთი ნაწილი (საშუალო ფენა) ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება უფრო ხელშეუხებელი და დაცულია, დანარჩენები პირიქით, საკუთრების უფლებას ახლობელ ნათესავებზე აფორმებენ და ამ გზით მალავენ ქონებას.

ცნობილია, როცა საფონდო ბირჟაზე ხდება გარიგება, ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. ანუ მესაკუთრეების ვინაობა შესაძლებელია ცნობილი გახდეს. უძრავ ქონებაში ფულის დაბანდება ამ "ხიფათისგან" თავის არიდების საუკეთესო საშუალებაა. ამის გარდა, პოტენციურ მყიდველს შეუძლია საწარმოს წილებისა და აქციების ყიდვა გარესაბირჟო გარიგების განხორციელებით. ქონების ყიდვა-გაყიდვის ეს ორი გზა საქართველოში დღეს აქტიურად გამოიყენება. თუმცა, ახალა მთავრია ქვეყნიდან კაპიტალი არ გაიქცეს და მას ვინ რა გზით სად განათავსებს, შეიძლება ითქვას, რომ მეორეხარისხოვანია.

**საქართველოს საფონდო ბირჟა**

სესია № 601 - 609 / *2005 წლის მარტი*

| დასახელება | კოდი | საშ.შეწ. ფასი | მოცულობა (ფ/ქ) | ღირებულება (ლარი) | საწესდებო კაპიტალი (აქციებში) | კაპიტალიზაცია ლარში | გასხვისწილი % | 2006წ დაფიქსირ ფასი მაქს. | მინ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სს „თელასი" | **AEST** | 2,25 | 1192 | 2730 | 81147886 | 182582744 | **0,001** | 1,5 | 1,5 |
| სს „სახალხო ბანკი" | **AMB** | 0,9 | 3057 | 2151,3 | 10000000 | 9000000 | **0,031** | 0,8 | 0,6 |
| სს „ავტოშემკეთებელი" | **AVSH** | 1,82 | 315 | 575,45 | 430344 | 783226,08 | **0,073** | 1,82 | 1,82 |
| სს „ბაგრატიონი1882" | **BAGR** | 2,2 | 244 | 548 | 7413585 | 16309887 | **0,003** | 2,3 | 2 |
| სს „ცენტრ.სუპერმარკეტი" | **CSM** | 3,65 | 401 | 1463,65 | 300210 | 1095766,5 | **0,134** | 3,65 | 3,65 |
| სს „საქართველოს ბანკი" | **GEB** | 9,800 | 79 575 | 780 801,7 | 14783409 | 144877408 | **0,538** | 9,50 | 6,00 |
| სს „ბიზნ. ცენტრი ვაჟაზე" | **IAD** | 10,200 | 397 | 4 049,4 | 250101 | 2551030,2 | **0,159** | 10,20 | 10,20 |
| სს „ყაზბეგი" | **KAZB** | 7,510 | 50 | 375,5 | 2800000 | 21028000 | **0,002** | 7,51 | 6,10 |
| სს „ქუთ. ავტოსერვ. რაში" | **KASR** | 0,100 | 75 622 | 7 562,2 | 148244 | 14824,4 | **51,012** | 0,10 | 0,10 |
| სს „ეკრანი ლილო" | **EKR** | 0,320 | 57 454 | 18 385,3 | 834145 | 266926,4 | **6,888** | 0,32 | 0,32 |
| სს „ენ. და სარაჯიშვილი" | **ENIS** | 6,500 | 347 | 2 255,5 | 1812967 | 11784286 | **0,019** | 6,50 | 5,00 |
| სს „რეა ქართუ" | **REAQ** | 3,650 | 5 766 | 20 988,2 | 128892 | 470455,8 | **4,474** | 3,65 | 3,64 |
| სს „საქლადა" | **SLAD** | 0,250 | 5 000 | 1 250,0 | 1620451 | 405112,75 | **0,309** | 0,25 | 0,25 |
| სს „საქწყალპროექტი" | **STSP** | 7,000 | 541 | 3 787,0 | 392139 | 2744973 | **0,138** | 7,00 | 7,00 |
| სს „თბლბრ. ცისარტყელა" | **TABR** | 0,170 | 19 695 | 3 348,15 | 1994335 | 339036,95 | **0,988** | 0,17 | 0,17 |
| სს „თოლია" | **TOLI** | 0,100 | 3 013 | 301,30 | 557298 | 55729,8 | **0,541** | 0,10 | 0,10 |
| სს „პურის 4 ქარხანა" | **TPU4** | 2,000 | 120 | 240,00 | 128559 | 257118 | **0,093** | 2,00 | 2,00 |
| სს „ტრანსმომსახურება" | **TRM** | 1,000 | 148 | 148,00 | 13470 | 13470 | **1,099** | 1,00 | 1,00 |
| სს „ტრანსმშენი" | **TRMS** | 1,110 | 1 811 | 2 010,21 | 970400 | 1077144 | **0,187** | 1,11 | 1,00 |
| სს „ტრაქტები" | **TRQT** | 1,000 | 92 | 92,00 | 589856 | 589856 | **0,016** | 1,00 | 1,00 |
| სს „ცეკავშირის ბაზა" | **TUSB** | 90,000 | 1 | 90,00 | 792 | 71280 | **0,126** | 90,0 | 90,0 |
| სს „უნივერმაგი თბილისი" | **UTB** | 27,000 | 837 | 22 599,00 | 969637 | 26180199 | **0,086** | 27,00 | 27,00 |
| სს „უნივერსალ სერვისი" | **UNSE** | 0,300 | 3 409 | 1 022,70 | 115940 | 34782 | **2,940** | 0,30 | 0,30 |
| სს „გაერთ. ქართ. ბანკი" | **UGB** | 1,800 | 2 052 | 3 773,64 | 41000000 | 73800000 | **0,005** | 2,00 | 1,60 |
| სს „ლაგუნა ვერე" | **VERE** | 1,000 | 191 485 | 191 485,00 | 307726 | 307726 | **62,226** | 1,00 | 1,00 |
| სს „პროკრედიტბანკი"-ს ობლ. | **PCBIT** | 916,000 | 125 | 114 818,5 | | | | 919,6 | 897,2 |
| სს „საქა-ოს ბანკი"-ს ობლ | **GEBOND** | 100,000 | 182 | 18 252,8 | | | | 100,4 | 100,0 |
| *სულ* | | | 452 931 | 1 205 104,50 | | | | | |

**საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი**

***საქართველოს სახაზინო ვალდებულებების დაფარვის ცხრილი***

| გამოშვება | ვადიანობა | დაფარვა | განთავსება |
|---|---|---|---|
| 13-Apr-05 | **364** | 12-Apr-06 | 1 700 000 |
| 27-Apr-05 | **364** | 26-Apr-06 | 1 800 000 |
| 11-May-05 | **364** | 10-May-06 | 2 000 000 |
| 25-May-05 | **364** | 24-May-06 | 2 000 000 |
| 08-Jun-05 | **364** | 07-Jun-06 | 2 000 000 |
| **სახაზინო ვალდ. ჯამური ვალი** | | | 9 500 000 |

***ფულადი ბაზარი***

3 აპრილის მდგომარეობით 2006 წელი

| ვალუტა | ლარი |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | **1,8260** |
| 1 ევრო | **2,2130** |
| 1 რუსული რუბლი | **0,0659** |
| 1 ფუნტი სტერლინგი | **3,1750** |

***ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი***

| გამოშვება | ვადიანობა | პროცენტი | თანხა |
|---|---|---|---|
| 29-Mar-06 | **7 დღე** | 4% | **1 000 000** |
| 28-Mar-06 | **28 დღე** | 6% | **150 000** |
| 26-Jan-06 | **56 დღე** | 14% | **1 500 000** |

***მომავალი კვირის კალენდარი***

| თარიღი | შინაარსი |
|---|---|
| **04-Apr-06** | სსბ სესია № 25 (610) |
| **05-Apr-06** | უცნობია სახ. ვალდ. აუქციონი |
| **06-Apr-06** | სსბ სესია № 26 (611) |

**სახაზინო ვალდებულებათა ბაზრის მიმოხილვა**

კვლავინდებურად უცნობია თუ როდის განახლდება სახაზინო ვალდებულებათა ემისია. მიმდინარე ვალი - **9,5** მლნ. ლარი

**ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა**

31.03.2006 თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 31 მარტს მონაწილეობა მიიღო რვა კომერციულმა ბანკმა (ხუთმა გამყიდველის და სამმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო შვიდი საბირჟო გარიგება, რომლის მოცულობამ 3 240 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 860 000 აშშ დოლარი შეიძინა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8270 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 280 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 3 740 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით – 1 აშშ დოლარი/1.8260 ლარი. 1 აპრილიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.8260 ლარი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 31 მარტს დაიდო 300 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი. 1 აპრილიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი:1 ევრო/2. 2130 ლარი.

30.03.2006

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 30 მარტს მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა (ერთმა გამყიდველის და ორმა მყიდველის სტატუსით). დაიდო ორი საბირჟო გარიგება, რომლის მოცულობამ 200 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8276 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველი მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო მიწოდებამ 900 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე დაფიქსირდა შემდეგი კურსი – 1 აშშ დოლარი/1.8270 ლარი. 31 მარტიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.8270 ლარი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 30 მარტს დაიდო 220 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი.31 მარტიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი:1 ევრო/2.2046 ლარი.

29.03.2006

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 29 მარტს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (სამმა გამყიდველის და ერთმა მყიდველის სტატუსით). დაიდო სამი საბირჟო გარიგება, რომლის მოცულობამ 1 250 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8265 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 2 850 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 750 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით – 1 აშშ დოლარი/1.8276 ლარი. 30 მარტიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.8276 ლარი.თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 29 მარტს დაიდო 14 000 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი. 30 მარტიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი:1 გირვანქა სტერლინგი/3.1756 ლარი.

## "იტერამ" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

საერთაშორისო კომპანიათა ჯგუფმა "იტერა" რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ. ამის შესახებ სააგენტო "რია ნოვოსტის" საქართველოში "იტერას" ოფიციალურმა წარმომადგენელმა თეიმურაზ გაჯიევმა აცნობა. მისი ინფორმაციით, საუბარია 2003 წელს გაფორმებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საწარმოების დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ შეთანხმების შეუსრულებლობაზე. რესტრუქტურიზაციის პირობების თანახმად, ქართულ მხარეს 7 წლის განმავლობაში ყოველკვარტლურად უნდა დაეფარა 46 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანება. გაჯიევმა აღნიშნა, რომ კომპანიის წარმომადგენლებმა არაერთხელ მიმართეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, მაგრამ მიღებული პასუხები მხოლოდ გაოცებას იწვევდა. "ქართული მხარე აცხადებს, რომ 2003 წელს რესტრუქტურიზაციის შესახებ შეთანხმება ენერგეტიკის სამინისტრომ უკანონოდ გააფორმა. რაც გაუგებარია, რადგან შეთანხმებას ხელი მოაწერა ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ, რომელმაც შესაბამისი რწმუნება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით მიიღო", - განაცხადა "იტერას" წარმომადგენელმა. მისი თქმით, სარჩელის შეტანის შემდეგ საქართველოს მთავრობის მეთაურმა ზურაბ ნორაიდელმა იუსტიციის მინისტრს გიორგი ქავთარაძეს სიტუაციაში გარკვევა დაავალა. "იტერას" მიმართ საქართველოს საბიუჯეტო და კომერციული ორგანიზაციების საერთო დავალიანება 1996 წლიდან 103 მილიონ დოლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი.**

# მსოფლიო ომი

## ბაზრებისა და რესურსებისათვის

თორნიკე შარაშენიძე
ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი



### რუსეთის პრეზიდენტის ოცნება

ბელარუსში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს ერთობ საინტერესო გაგრძელება მოჰყვა. "გაზპრომი" (წაიკითხე "რუსეთი") აპირებს ამ ქვეყანას გაზი გაუძვიროს. ამის შესახებ უკვე განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა. ლუკაშენკოს წყალობით მოსკოვის ერთგულ მოკავშირედ ქცეული ბელარუსი აქამდე 1000 კუბური მეტრი გაზის სანაცვლოდ 46 დოლარს იხდიდა, მაგრამ, მილერის თქმით, ფასი "შესაბამის ევროპულ დონემდე აიწევს."

ბელარუსისთვის გაზზე ფასის აწევა, ერთი შეხედვით, დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ. არა იმიტომ, რომ ეს ლუკაშენკოს რეჟიმს რაიმე ტვირთად დააწვება. არც იმიტომ, რომ გაზისათვის ბელორუსებმა, დავუშვათ, ქართველებზე ნაკლები არ უნდა იხადონ. უბრალოდ იმიტომ, რომ ყველასათვის უკეთესი იქნება თუკი რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკაში პრაგმატიზმი იძალებს და პოლიტიკა უკანა პლანზე გადაიწევს. ამის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულება კი სწორედ იმ შეღავათების გაუქმება იქნება, რომლებითაც გაზის მოხმარების მხრივ კრემლის ერთგული მოკავშირეები სარგებლობენ.

თუმცა, მილერმა იქვე დასძინა, რომ ფასის აწევა დამოკიდებული იქნება მომავალი გარიგების პარამეტრებზე კომპანია "ბელტრანსგაზთან." ეს უკანასკნელი საექსპორტო გაზსადენებს ფლობს, რომელთა მეშვეობითაც რუსული გაზი ბელარუსის გავლით დასავლეთ ევროპისაკენ მიედინება. თავის დროზე მინსკი "გაზპრომს" ამ კომპანიის აქციათა 50%-ს შეჰპირდა. ამის სანაცვლოდ ბელარუსისთვის გაზზე დაბალი ფასი უნდა შენარჩუნებულიყო.

გარიგებას საშველი არა და არ დაადგა. ამის მიზეზი კი ის ფასია, რომელსაც მხარეები "ბელტრანსგაზის" აქციათა 50%-იან პაკეტს ადებენ. "გაზპრომი" საამისოდ დაახლოებით 500 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს, ხოლო მინსკი ამ ქონებას 2,5 მილიარდ დოლარად აფასებს. ის ფაქტი, რომ "გაზპრომი" ამ თემაზე არჩევნების შემდეგ ალაპარაკდა, იოლი ასახსნელია: მინსკმა ალბათ რამდენჯერმე გადადო საბოლოო მოლაპარაკება იმ საბაბით, რომ არჩევნებით იყო დაკავებული.

ახლა უკან დასახევი გზა აღარ დარჩა - ლუკაშენკო ისევ პრეზიდენტია, ამით ორივე მხარე ბედნიერია და მოლაპარაკებასაც საშველი უნდა დაადგეს. მინსკს მოსაფიქრებლად ვადაც მისცეს - 30 აპრილამდე. თუკი გარიგება რუსულ პირობებზე შედგება, ბელორუსიისათვის გაზზე ფასი ალბათ საერთოდ უცვლელი დარჩება.

ეს ყველაფერი ალბათ ნაკლებად არის ის დამაიმედებელი პრაგმატიზმი, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. ეს სხვა სახის პრაგმატიზმია - მოსკოვი ცდილობს, საბოლოო კონტროლი დაამყაროს თავისი გაზის ბელარუსულ ტრანზიტზე. ეს სავსებით ლოგიკურია. ლოგიკურია თუნდაც იმიტომ, რომ ლუკაშენკოს რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიის გავლით ევროპისაკენ რუსული გაზის დიდი ნაწილი მიედინება. მოსკოვი კი დასავლეთისათვის საიმედო პარტნიორისა და ენერგომომმარაგებლის იმიჯზე ზრუნავს და ამიტომაც უკეთესი იქნება თუკი ტრანზიტიც მის ხელთ იქნება და არა ისეთი პოლიტიკოსის ხელში, როგორსაც ბელარუსის დღევანდელი პრეზიდენტი წარმოადგენს. მართალია, ის კრემლის ერთგულ მოკავშირედ მოიაზრება, მაგრამ ამავე დროს რუსეთში მას აშკარად ბოლომდე არ ენდობიან და მეტად ცბიერ მოთამაშედ მოიაზრებენ.

### ლოგიკურია სხვა რამის გამოც...

90-იანი წლების ბოლოს ერთ-ერთ რუსულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ რუსეთს ბუნებრივი რესურსები ძველი დიდების აღდგენის საშუალებას მისცემდა. "რუსეთის ბუნებრივი პოტენციალი განსაზღვრავს მის ადგილს განვითარებულ სახელმწიფოთა შორის," - წერდა მაშინ ვინმე ვლადიმირ პუტინი, რომელიც დღეს რუსეთის პრეზიდენტია.

თუკი დღევანდელი რუსეთი დიდებაზე პრეტენზიებს აცხადებს, ეს უპირველესად სწორედ ბუნებრივი რესურსების დამსახურებაა. პუტინი თავის ოცნებას ისრულებს და "გაზპრომის" აგრესიული ექსპანსია ამ ოცნებაში კარგად ჯდება. ჩანს, რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი, ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებაზე ყოველთვის ბევრს ფიქრობდა. სწორედ ამ თემას ეძღვნებოდა 90-იანების შუაში დაწერილი მისი დისერტაციაც, რომლის გარშემო გასულ კვირას ამერიკაში სკანდალი ატყდა. პუტინი, არც მეტი არც ნაკლები, პლაგიატში დაადანაშაულეს. როგორც ამტკიცებენ, მისი დისერტაცია ორი ამერიკელი მეცნიერის მიერ 70-იანების ბოლოს დაწერილი ნაშრომიდანაა გადაწერილი. თუმცა, ასეც რომ იყოს, ვითარებას დიდად არ ცვლის. მთავარი ისაა, რომ რუსეთის პრეზიდენტი გაზს, ნავთობსა და სხვა ბუნებრივ რესურსებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

"გაზპრომის" ექსპანსია მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებით არ შემოიფარგლება. რუსულ მონოპოლიას უკვე დასავლეთ ევროპის ბაზრებზეც უჭირავს თვალი და ამ მიზნით განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ყველა მის პოტენციურ პარტნიორს. მაგალითად, როცა "გაზ დე ფრანსმა" ბალტიის ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა (ეს სწორედ ის გაზსადენია, რომელიც ბალტიისპირეთსა და პოლონეთს გვერდს უვლის და პირდაპირ გერმანიაზე გადის, რის გამოც პროექტი პუტინ-შრიოდერის პაქტად მონათლეს), "გაზპრომმა" საპასუხოდ განაცხადა, რომ ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თუკი მას საფრანგეთში გაზის დისტრიბუციის უფლებას მისცემენ.

ჩრდილოევროპული გაზსადენის მშენებლობის დასრულება 2010 წლისთვისაა ნავარაუდევი. მასში უკვე ჩართულია ორი გერმანული კომპანია, რომელთაც მესამე პარტნიორის ჩართვა სურთ და ამ მხრივ "გაზ დე ფრანსი" კარგი კანდიდატურაა. მაგრამ ვინც არ უნდა ჩაერთოს, "გაზპრომი" პროექტის 51%-ს მაინც გააკონტროლებს. გასულ კვირას, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩრდილოევროპული გაზსადენის აქციონერთა კომიტეტის თავმჯდომარედ გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი აირჩიეს. იგი ხელფასის სახით წელიწადში 250 ათას ევროს მიიღებს. ჩანს, შრიოდერი თავისი კანცლერობის დროს ერთობ დიდი გულისყურით მოეკიდა ბისმარკის დანაბარებს იმის თაობაზე, რომ გერმანიამ აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთთან. თუმცა, ბისმარკის დანაბარები განსხვავებული პოლიტიკური რეალობით იყო ნაკარნახები - მაშინ გერმანიას საფრანგეთთან ჰქონდა მტრობა და რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში ორ ფრონტზე ომი მოუწევდა (როგორც მოუწია კიდეც პირველ მსოფლიო ომში). მაგრამ ახლა საფრანგეთი გერმანიის მტერი ნამდვილად აღარაა. თუმცა, გერმანიაში ბევრი ფიქრობს, ბისმარკის დანაბარები არაფერ შუაშია რომ შრიოდერმა უბრალოდ თავის მომავალზე იზრუნა: ჩრდილოევროპული გაზსადენის პროექტზე პუტინს ხელი მოუწერა და ახლა "გაზპრომისგან" სოლიდურ ხელფასსაც მიიღებს.

### ვინ შეასწრებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში?

გასულ კვირას, რუსეთის მსხვილ ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს, პუტინმა აშშ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის თაობაზე მოლაპარაკებების გაჭიანურებაში დაადანაშაულა. როგორც ირკვევა, ვაშინგტონმა რუსეთს მთელი რიგი ახალი მოთხოვნები წაუყენა. კონკრეტულად რა, ამაზე არაფერი თქმულა. თუმცა, ახალი და განსაკუთრებული ალბათ არაფერი იქნება: რუსეთს დიდი ხანია სთხოვენ ებრძოლოს კომპიუტერულ თუ ვიდეომეკობრეობას, შეამციროს ბაჟი ავიატექნიკაზე და უცხოურ ბანკებს ფილიალების გახსნის ნება დართოს. მოსკოვს განსაკუთრებით ეს ბოლო მოთხოვნა არ მოსწონს, რადგან შიშობს რომ მისი საბანკო სექტორი კონკურენციას ვერ გაუძლებს.

ახლა კრემლში იმედოვნებენ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თაობაზე აშშ-სთან მოლაპარაკებები მიმდინარე წლის ბოლოს მაინც დასრულდება. სიჩქარეა საჭირო, რადგან იქამდე შესაძლოა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უკრაინა მიიღონ, რომელთანაც, როგორც ორგანიზაციის წევრთან, ცალკე მოლაპარაკება გახდება საჭირო. კიევს კი, ბუნებრივია, რუსეთთან უამრავი პრეტენზია ექნება, გამომდინარე კრემლის ბოლოდროინდელი ეკონომიკური პოლიტიკიდან დაწყებული უკრაინისათვის გაზის გაძვირებით და დამთავრებული უკრაინული სალას იმპორტის აკრძალვით. ჯერჯერობით უკრაინა უფრო წინაა, რადგან ვაშინგტონმა მასთან მიმართებაში ჯექსონ-ვენიკის აქტი გააუქმა.

აშშ-ის გარდა რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თაობაზე უკვე ყველა ძირითად მოთამაშესთან მიაღწია შეთანხმებას. თუმცა, ამ მხრივ ევროკავშირთან შესაძლოა, გარკვეული პრობლემები გაჩნდეს. საქმე ისაა, რომ ძველი კონტინენტი რუსეთისგან ციმბირის გავლით ავიარეისებზე გადასახადების გაუქმებას ითხოვს, მაგრამ მოსკოვი ჯიუტობს და ევროპული ავიაკომპანიები რეისებისთვის დღემდე იხდიან თანხას. თუკი რუსეთმა არ დათმო, ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ევროკავშირმა გადახედოს თავის პოზიციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ მოსკოვი ჯიუტობს ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებითაც. მარტის დასაწყისში ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე ბაროზო პუტინს ეწვია, მაგრამ მოლაპარაკებებით პრაქტიკულად ვერაფერს მიაღწია. ბაროზოს სურდა რუსეთს დასავლური ენერგოკომპანიები მის ბუნებრივი გაზის საბადოებზე დაეშვა, მაგრამ უარი მიიღო, რაც გასაკვირი არანაირად არ არის, თუკი გავითვალისწინებთ პუტინის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას რუსეთის ბუნებრივ რესურსებთან. ამ დამოკიდებულების გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, რომ რუსეთმა საერთოდ უარი თქვას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე, თუკი სანაცვლოდ ევროკავშირმა გაზის საბადოებზე დაშვება მოსთხოვა.

ერთადერთი ადგილი, სადაც მოსკოვი დასავლურ ენერგოკომპანიებს უშვებს, ეს არქტიკაზე მდებარე შტოკმანოვის საბადოა. აქაური გაზის მარაგი საკმარისია, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მოსამარაგებლად 35 წლის განმავლობაში. დაშვების მიზეზი უბრალოა - "გაზპრომს" არა აქვს საჭირო გამოცდილება, რათა არქტიკის პირობებში მოიპოვოს გაზი და მისი გათხევადება მოახდინოს (სხვანაირად იქ მოპოვებული გაზის ბაზარზე გატანა ვერ ხერხდება). დასავლური კომპანიები - ესენია ნორვეგიული "სტატოილი" და "ნორსკ ჰიდრო," ამერიკული "შევრონი" და "კონოკოფილიპსი," ფრანგული "ტოტალი" - აქტიურად ჩაერთვნენ შტოკმანოვის საბადოს ასათვისებლად ბრძოლაში. ყველაზე კარგი შანსები ნორვეგიულ კომპანიებს აქვთ, თუმცა ვითარებას ისევ ართულებს "გაზპრომის" განსაკუთრებული მოთხოვნები: საბადოზე წილის სანაცვლოდ რუსულ ენერგოგიგანტს ნორვეგიული ფული არ ჰყოფნის, მას ასევე უნდა დასავლური ნოუჰაუების ათვისება და გარდა ამისა ნორვეგიულ გაზის საბადოებზე წილსაც ითხოვს.

### ეკონომიკური თანამშრომლობა ახალი ცივი ომის წინააღმდეგ

გასულ კვირას ჩინეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ აშშ და ევროკავშირი. მათ პეკინს ბრალი დასდეს ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებზე ზედმეტად მაღალი ბაჟის დადებაში. ჩინეთს 10 დღე აქვს პასუხის გასაცემად და თუკი შემდეგ პრობლემა 60 დღის განმავლობაში არ მოგვარდა, საქმე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გადაეცემა. ამ ორგანიზაციაში ჩინეთის გაწევრიანებიდან (2001 წელი) ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა ევროკავშირი პეკინს ორგანიზაციაში საქმეებს გაურჩევს.

თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი მაინც ვაშინგტონ-პეკინის ურთიერთობებია. ამ თვეში ჩინეთის პრეზიდენტი ჰუ ძინტაო აშშ-ს სტუმრობს და ვიზიტისათვის მზადებას უკვე ეყრება საფუძველი: თეთრმა სახლმა გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც იგი მხარს დაუჭერს სენატის კანონპროექტს, რომელიც ჩინურ იმპორტზე ბაჟის დადებას გულისხმობს იმ შემთხვევაში თუკი პეკინი თავისი ვალუტის ხელოვნურ გაუფასურებას გააგრძელებს. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ ჟენმინბის დაბალი კურსი არაბუნებრივად აიაფებს და ჩინურ საქონელს ამის წყალობით ხდის კონკურენტუნარიანს.

ვალუტის ხელოვნური გაუფასურება სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებში ნამდვილად არ ჯდება. თუმცა, ბევრი ამერიკელი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ზოგჯერ აშშ-ც მისდევს პროტექციონისტულ ზომებს. არადა, ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება და ამგვარად ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა წესით საუკეთესო გზაა კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღევანდელ ზესახელმწიფოსა და ყველაზე სწრაფად მზარდ დიდ სახელმწიფოს შორის კონფრონტაცია ბაზრებისა და რესურსებისათვის მეტოქეობით ამოიწურება.

რა მოხდება მაშინ, თუკი ჩინეთიც ზესახელმწიფოდ იქცევა? კაცობრიობა ერთხელ უკვე აღმოჩნდა ისეთ ვითარებაში, როცა მსოფლიოში ორი ზესახელმწიფო იყო (აშშ და სსრკ) და ამას ცივი ომი მოჰყვა.

### აშშ-ს ბირჟა ნავთობის გამო შემცირდა

პარასკევს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ნავთობის სექტორის, რომელიც "შავი ოქროს" გაიაფების გამო გარკვეულ ზეწოლას განიცდის, ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ნავთობის გაიაფებამ ისეთი ცნობილი კომპანიების, როგორებიცაა ExxonMobil და ConocoPhillips აქციები, შესაბამისად, 0,4 და 2,1 პროცენტით გააიაფა.

სამაგიეროდ, ნავთობის ფასის დაწევამ ავიაკომპანიების აქციები გააძვირა. კერძოდ, US Airways Group-ის აქციების ფასმა 6,7 პროცენტით მოიმატა, AMR Corp-ის აქციები 3,6 პროცენტით გაძვირდა, Continental Airlines-ის კი 3,3 პროცენტით.

გარდა ამისა, 0,4 პროცენტით მოიმატა ინტერნეტ-კომპანია Google Inc-ის აქციების ფასმაც. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის დასრულების შემდეგ ეს კომპანია S&P 500 Index-ში შეიყვანეს.

საბოლოოდ, პარასკევს Dow Jones Industrial Average Index 0,37 პროცენტით, 11.109,32 პუნქტამდე შემცირდა, Standard & Poor's 500 Index-მა 0,42 პროცენტით, 1.294,83 პუნქტამდე დაიკლო, ხოლო, Nasdaq Composite Index 0,04 პროცენტით შემცირდა და 2.239,79 პუნქტი შეადგინა.

რაც შეეხება კვარტლურ მონაცემებს, Dow Jones-მა 2002 წლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელს მიაღწია, S&P 500 მაქსიმალური ტემპებით 1999 წლის შემდეგ გაიზარდა, ხოლო Nasdaq-ის ზრდა, 2000 წლის შემდეგ, უპრეცედენტოდ მაღალი აღმოჩნდა.

*3 აპრილი. 01:00.*










### Forbes-მა კომპანიათა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა

განთქმულმა ჟურნალმა Forbes მსოფლიოს უმდიდრესი კომპანიების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის შედგენისას ჟურნალის ანალიტიკოსებმა ადრინდელის მსგავსად რამდენიმე კომპონენტი - ფინანსური ბრუნვა, მოგება, აქტივები და აქციების საბაზრო ღირებულება - შეაჯერეს.

რეიტინგში პირველ და მეორე ადგილებზე კვლავ ამერიკული კომპანიები ბანკი Citigroup და კონგლომერატი General Electric არიან. მესამეზე გადაინაცვლა ასევე ამერიკულმა ბანკმა Bank of America, რომელმაც ამჟამად მეოთხე ადგილზე მყოფ ამერიკულ სადაზღვევო-საინვესტიციო კომპანია American Intl Group-ს გაუსწრო. კვლავ მეხუთე ადგილზეა უმდიდრესი ევროპული კომპანია, ბრიტანული ბანკი HSBC Group. მეექვსე ადგილი უმსხვილესმა ნავთობკომპანიამ, ამერიკულმა ExxonMobil-მა შეინარჩუნა, მეშვიდე კი ნიდერლანდულ-ბრიტანულმა ნავთობგიგანტმა Royal Duch-Shell Group-მა. კვლავ მერვე ადგილზეა ბრიტანული ნავთობკომპანია BP, მეცხრეზე კი ამერიკულმა ბანკმა JPMorgan Chase-მ გადაინაცვლა, რომელიც ადრინდელ რეიტინგში მეთოთხმეტე იყო. მეათე შვეიცარიული საინვესტიციო კომპანია UBS გახლავთ, რომელმაც უკან ჩამოიტოვა იაპონური მანქანათმშენებელი Toyota Motor.

იაპონური ავტოგიგანტი კვლავინდებურად მსოფლიოს უმდიდრესი ავტომწარმოებელია და იგი ამჟამინდელ რეიტინგში მეთორმეტე ადგილზეა. ამასთან, Toyota Motor უმდიდრესი აზიური კომპანია გახლავთ. პარფიუმერული პროდუქციის მსოფლიოს უმდიდრესი მწარმოებელი ამერიკული Procter & Gamble (რეიტინგში 21-ე) გახლავთ, კომპიუტერული ტექნიკის ყველაზე მდიდარი კომპანია კი ასევე ამერიკული IBM (23). აგრეთვე ამერიკული გახლავთ კვების პროდუქტების და თამბაქოს უმდიდრესი მწარმოებელი Altria Group (27), ფარმაცევტულ-ბიოტექნოლოგიური სექტორის ლიდერი Pfizer (33) და უმსხვილესი მედიაკომპანია Time Warner (68).

უმდიდრესი სამხრეთ ამერიკული კომპანია ბრაზილიური ნავთობგიგანტი Petrobras-petroleo Brazil გახლავთ, რომელიც რეიტინგში 51-ე ადგილზეა. ავსტრალიურ კომპანიათა შორის ყველაზე წარმატებული Natl Australia bank გახლავთ.

## "ვარკეთილის ღვინის ქარხანა" იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "ვარკეთილის ღვინის ქარხნის" 100 პროცენტიანი წილის პრივატიზების მიზნით კონკურსი გამოაცხადა.

ქარხნის საქმიანობის სფეროა ღვინისა და ღვინომასალების წარმოება. საწესდებო კაპიტალი 1 331 970 ლარია, დებიტორული დავალიანება 614 770 ლარს, კრედიტორული დავალიანება კი 5 515 ლარს შეადგენს. ვარკეთილის ქარხნის საწყისი გასაყიდი ფასი 750 000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა წილის საბოლოო გამოსასყიდი თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში უნდა განახორციელოს და პროფილი 3 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს.

დაინტერესებულთათვის განცხადებების მიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 3 აპრილიდან დაიწყება და 4 მაისს დასრულდება. ტენდერი 4 მაისს, 18.00 საათზე გაიმართება. **ინტერპრესნიუსი.**

## მდგრადი განვითარების კომისიის მე-14 სესიას ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი უხელმძღვანელებს



*ალექსი ალექსიშვილი*

მდგრადი განვითარების კომისიის (CSD) მე-14 სესიას, რომელიც აშშ-ს ქალაქ ნიუ-იორკში აპრილის ბოლოს გაიმართება, ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი უხელმძღვანელებს. კომისია 1992 წელს იმ მიზნით დაარსდა, რომ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებმა ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის დროს გარემოსდაცვითი საკითხებიც გაითვალისწინონ.

სესიის მოსამზადებელ, სტრატეგიულ შეხვედრას თბილისი უმასპინძლებს. 13-15 აპრილს აქ გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "შესაძლებლობების გაძლიერება და სტრატეგიის განვითარება საქართველოსთვის, ევროგაერთიანების გლობალური როლი მდგრადი განვითარების პროცესში". მისი ორგანიზატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები: საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევის ცენტრი, საქართველოს ეკოლოგიური და ბიოლოგიური მონიტორინგის ასოციაცია, "კავკასიის გარემო", გარემოსდამცველთა ლიგა, ჰოლანდიური ორგანიზაცია - "ევროპელი ქალები მომავლისათვის" და "ევროპის ეკოფორუმი".

"მწვანეთა მოძრაობის" ინფორმაციით, კონფერენციის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების და მთავრობის ხელმძღვანელობას შორის დიალოგის გამართვა. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ, ასევე, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციაზე მათ მიერ შემუშავებულ დეკლარაციას, ასევე, შესაბამის გარემოსდაცვით რეკომენდაციებს ნიუ-იორკში უკვე ალექსი ალექსიშვილი წარადგენს. **პრაიმ-ნიუსი.**

## ამინდი

| | 3/04 | 4/04 | 5/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 17 | 13 | 11 |
| რიგა | 7 | 9 | 5 |
| ვილნიუსი | 8 | 6 | 7 |
| მოსკოვი | 8 | 3 | 5 |
| მინსკი | 8 | 10 | 8 |
| პარიზი | 8 | 5 | 4 |
| რომი | 18 | 21 | 14 |
| ლონდონი | 7 | 3 | 5 |
| მადრიდი | 22 | 20 | 14 |
| ბონი | 7 | 6 | 5 |
| ვარშავა | 13 | 10 | 10 |
| ათენა | 24 | 19 | 24 |
| ბერნი | 10 | 14 | -2 |
| ამსტერდამი | 5 | 0 | 1 |
| ოსლო | 3 | 1 | 2 |
| ანკარა | 17 | 21 | 17 |
| ვარნა | 14 | 12 | 20 |
| დელი | 40 | 40 | 39 |
| ტოკიო | 15 | 22 | 14 |
| კოპენჰაგენი | 1 | 0 | 1 |
| ბაქო | 17 | 15 | 20 |
| ერევანი | 19 | 18 | 21 |
| ასტანა | 2 | 6 | 8 |
| ჰელსინკი | -3 | 0 | 2 |
| დუბლინი | 3 | 2 | 1 |
| ლისაბონი | 21 | 17 | 17 |
| პრაღა | 6 | 7 | 3 |
| სოფია | 15 | 14 | 20 |
| ბუდაპეშტი | 16 | 13 | 15 |
| ბუხარესტი | 21 | 17 | 20 |

# ქართველი მეწარმეები ალტერნატიული ბაზრების ძიებაში

ანა შარვაშიძე

*ქართული პროდუქციის გასაღების მთავარი ადგილი - რუსეთის ბაზარი სულ უფრო პრობლემური და მიუწვდომელი ხდება. უკანასკნელ დღეებში ქართული ღვინის რუსეთში ექსპორტთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები ამის კარგი მაგალითია. ქართველი მწარმოებლები ალტერნატიული ბაზრების ძიებაში არიან. ამ პირობებში, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობები ეფექტურ გზად ითვლება. 14-დან 17 მარტამდე ქართველი მწარმოებლები მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს და აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში უმსხვილეს კვების პროდუქტების და ალკოჰოლური სასმელების გამოფენაში (Foodex Japan 2006) მონაწილეობდნენ.*




*Foodex Japan ათასობით მონაწილეს და დამთვალიერებელს იზიდავს*

ყოველწლიურად Foodex Japan ათასობით მონაწილეს და დამთვალიერებელს იზიდავს. წელს გამოფენაში დაახლოებით 75 ქვეყნის 2500 კომპანია მონაწილეობდა. თავად ღონისძიება კი 100 ათასმა ადამიანმა დაათვალიერა.

გამოფენაში ქართველებმა მონაწილეობა წელს პირველად მიიღეს. გორის საკონსერვო ქარხანა "გროკონი", "ვაზიანი", "ტყიბულის ჩაის ქარხანა", "ბაგრატიონი" და "ვაზი 1" - ეს იმ კომპანიების ჩამონათვალია, რომელთა პროდუქცია დაახლოებით ოთხი დღის განმავლობაში ტოკიოს უდიდესი საგამოფენო დარბაზების სტენდებზე იყო გამოფენილი.

საქართველოს ეროვნული კულტურისა და ვაჭრობის ცენტრის წარმომადგენლის დავით ზარიძის შეფასებით, მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ, საქართველოსთვის სულ უფრო და უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ახალი, რუსეთის ალტერნატიული ბაზრის ათვისება და იქ დამკვიდრების აუცილებლობა. "ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ისეთი ქვეყნის ბაზარი, როგორიცაა იაპონია, სადაც ქართული პროდუქციის შეტანისათვის გარკვეული ხელშემწყობი პირობები არსებობს," - განაცხადა დავით ზარიძემ. თუმცა მან იმ პრობლემებზეც ისაუბრა, რომლებიც შეიძლება მეწარმეებს იაპონურ გზაზე დახვდეს. მისი განცხადებით, ამ პრობლემებიდან უმთავრესად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მსოფლიოს ფართო საზოგადოებისათვის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შესახებ, ჯერჯერობით, ცოტა რამ არის ცნობილი.

იაპონია, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმსხვილეს იმპორტიორს და ინვესტორს წარმოადგენს, კვების პროდუქტებისა და სასმელების მრავალი სახის გამოფენათა ორგანიზატორია. ასეთი გამოფენების მოწყობას იაპონელები ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ამის საშუალებით მათთვის ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი პროდუქტებისა და სასმელების გამოვლენა, დათვალიერება და, მოწონების შემთხვევაში, იაპონურ ბაზარზე შესაღწევად გზის გახსნა ხდება.

"მთავარია, ნავსი გატყდეს და ცნობილი გახდეს, რომ ჩვენთან წარმოებული პროდუქცია სხვა ქვეყნებში წარმოებულს ხარისხით არ ჩამოუვარდება. არ არის გამორიცხული, რომ მიზანდასახული და კვალიფიციური მარკეტინგისა და მენეჯმენტის შემთხვევაში სულ ცოტა დრო დასჭირდეს ჩვენში კვების პროდუქტების წარმოების აღორძინებას, მათზე მოთხოვნილების ზრდას. თუნდაც, იაპონურ ბაზარზე, რომელიც პროდუქტების ხარისხისადმი თითქმის ყველაზე მკაცრი მოთხოვნებით გამოირჩევა," - აღნიშნა დავით ზარიძემ.

Foodex Japan 2006-ის დაწყებას იაპონიის ცენტრალურ არხზე ქართველებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება უძღვოდა წინ. განსაკუთრებული ოპტიმიზმით გამოირჩევიან გამოფენიდან დაბრუნებული კომპანიების წარმომადგენლები. როგორც კომპანია "ბაგრატიონში" "24 საათს" განუცხადეს, მათმა პროდუქციამ, განსაკუთრებით ცქრიალა ღვინოებმა იაპონიაში მოწონება დაიმსახურა. "ჩვენთვის იაპონიის ბაზარზე ასეთი სახით წარდგენა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს ძალიან სპეციფიკური ბაზარია, რომელიც ძალიან განსხვავდება პოსტსაბჭოური, ევროპული და ამერიკული ბაზრებისგან. კმაყოფილები ვართ - მოწონება დავიმსახურეთ. თავისი გემოვნური თვისებების წყალობით, ცქრიალა ღვინოებიდან ვარდისფერმა შამპანურმა დიდი მოწონება დაიმსახურა. დავამყარეთ კონტაქტები, გავცვალეთ კოორდინატები და დავტოვეთ ნიმუშები. ეს ბაზარი პერსპექტივაა, თუმცა საკმაოდ რეალური," - აცხადებენ კომპანიაში.

ქართული კომპანიების გამოფენაში მონაწილეობის თანადამფინანსებელი იაპონური მხარე იყო. როგორც ტყიბულის ჩაის ქარხანაში განაცხადეს, მათ მონაწილეობისთვის ღირებულების მხოლოდ 25 პროცენტი გადაიხადეს - "გამოფენის დაწყებამდე ცხრა სახის ჩაი გავაგზავნეთ. როგორც ჩანს მოიწონეს და მოწვევა მოგვივიდა. იმედი გვაქვს, რომ ამ ბაზართან კავშირს დავამყარებთ." გამოფენაში მონაწილეობით კმაყოფილი არიან გორის საკონსერვო ქარხანაშიც: "ეს გამოფენა ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. მოგეხსენებათ რუსეთი გამუდმებით ცდილობს ბაზარზე ჩვენს შეზღუდვას, ამიტომაც ალტერნატიულ ბაზრებს ვეძებთ. იმედი გვაქვს, იაპინური მხარე კონტაქტზე გამოვა."

# მეღვინეების გასაჭირი

## ხელისუფლების და მეწარმეების დიალოგი ვერ შედგა

პირველი გვერდიდან

"ვერაფერზე ვერ შევთანხმდით. ძალიან ბევრი პრობლემის იდენტიფიცირება მოხდა. პრინციპული პოზიცია უნდა დავიკავოთ და საჩქაროდ მივიღოთ ზომები რუსეთის და დსთ-ს სხვა ქვეყნებში ქართული ღვინის ექსპორტის საკითხის მოსაგვარებლად" - განუცხადა 24 საათს კომპანია "თელიანი ველის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ გეგენავამ.

27 მარტის შემდეგ რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტი ოფიციალური ვერსიით დაბალი ხარისხის გამო აიკრძალა. პირველი ფინანსური პრობლემები ქართულ კომპანიებს უკვე შეექმნათ, რადგან ღვინის ექსპორტიორთათვის გასაღების ძირითად ბაზარს ეს ქვეყანა წარმოადგენს.

"გართულდა გადატვირთულ პროდუქციაზე თანხის მიღება, მომავალში შეუძლებელი იქნება პროდუქციის ექსპორტიც. დღეს გასაყიდი ღვინო მასალები ყველა კომპანიას აქვს. მოსალოდნელია ფინანსური ზარალიც. ცხადია, რომ ის კომპანიები, რომლებიც ამ კრიზისს ვერ გაუძლებენ, გაკოტრდებიან," - დასძინა არჩილ გეგენავამ. მეღვინეებს მიაჩნიათ, რომ ეს პოლიტიკური პრობლემაა და რუსეთში არიან კომპანიები, რომელთაც არ სურთ, რომ ქართული ღვინო იქ გაიყიდოს.

პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვში ვიზიტს გეგმავს.

"რუსეთის ქმედება იყო უკანონო და უსამართლო. შესაბამისად ჩვენ ვახორციელებთ მოქმედებებს იმისთვის, რომ რუსეთის ბაზარზე დავბრუნდეთ. გვაქვს კონტაქტები რუსეთის შესაბამის უწყებებთან. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რუსეთში ექსპორტირებული ქართული ღვინის სერიიდან მოხსნა ღვინო და შესამოწმებლად ევროპის ოთხ სხვადასხვა ლაბორატორიაში გაგზავნა. ინფორმაცია ქართული ღვინის ხარისხიანობის შესახებ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი" - განუცხადა "24 საათს" ზურაბ ნოღაიდელმა.

მანამდე კი ქართველი მევენახეები ღელავენ, რადგან არ იციან, რა ბედი ეწევა მათ პროდუქციას. მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქართული ღვინის წარმოებას პრობლემები არ შეექმნას. ნოღაიდელის განცხადებით, მთავარია, რომ გლეხებმა და მევენახეებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა. "მათ ისე კარგად უნდა იმუშაონ, როგორც შარშან. ქვეყანამ უნდა მიიღოს ყურძნის კარგი მოსავალი, რომელიც აუცილებლად იქნება დაბინავებული. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით რუსეთის ბაზარზე და გავალთ სხვა ბაზრებზეც", - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა აღნიშნა, უახლოეს დღეებში დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ჩინეთში.

აღნიშნულ ვიზიტში მონაწილეობას რამდენიმე ქართული ღვინის კომპანია მიიღებს და ამ შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნება ქართული ღვინისთვის ახალი ბაზრის მოძიება.

მანამდე კი ხელისუფლება მოქმედებების გეგმას ამზადებს. "რაღაც კომპონენტები უკვე გამოკვეთილია, მაგალითად ქართული ღვინის რეკლამირების გეგმა, რომელიც პირველ რიგში რუსეთის ბაზარზე უნდა განხორციელდეს. სადაც პოზიციები სწრაფად უნდა დავიბრუნოთ. ამ ვითარებამ არ უნდა გააჩეროს ღვინის წარმოება, რომელიც საქართველოს ეკონომიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სექტორმა და ხელისუფლებამ კოორდინირებულად უნდა ვიმოქმედოთ. ეს პრობლემა შექმნა იმანაც, რომ გასულ წელს ღვინის ექსპორტის 89 პროცენტი რუსეთის ბაზარზე მოდიოდა," - განუცხადა "24 საათს" სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ღიად დარჩა ღვინის რეკლამირების დაფინანსების საკითხი. პრემიერ-მინისტრმა მეღვინეებს სტრატეგიული გეგმის წარდგენა მოსთხოვა.

"მთავრობამ უნდა დაინახოს კომპანიების მზადყოფნა. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დავბრუნდეთ რუსეთის ბაზარზე. თუმცა ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიების გაკოტრება და გამსხვილება. შესამბამისად მოხდება ბაზრის ხელახლა გადანაწილება," - ამბობს სოფლის მეურნეობის მინისტრი. ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიები ბაზარზე დაბრუნების კონკრეტულ სტრატეგიას მოამზადებენ და რამდენიმე დღეში პრემიერს ისევ შეხვდებიან.

## ოპეკი არაფრის შეცვლას არ აპირებს

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი) , თუ ნავთობის ფასი არსებულ დონეზე დარჩება, ივნისში დაგეგმილ შეხვედრაზე არაფერს შეცვლის. კატარის ნავთობის მრეწველობის მინისტრის აბდულ ალ ატიას განცხადებით, მსოფლიო ბაზარი ნავთობის მიწოდების დეფიციტს აშკარად არ განიცდის და რომ მსოფლიო ეკონომიკას ბარელი ნავთობის ღირებულების, 60 დოლარის, ათვისება თავისუფლად შეუძლია. ასე რომ, ოპეკი, რომელიც ნავთობის მსოფლიო ბაზრის მესამედს აკონტროლებს და რომელმაც 8 მარტის შეხვედრაზე ნავთობის მოპოვების გაზრდა გადაწყვიტა, კიდევ უფრო გადამჭრელ ზომებს არ მიმართავს. პარასკევს ერთი ბარელი ამერიკული მსუბუქი ნავთობი 52 ცენტით, 66,63 დოლარამდე გაიაფდა. ლონდონში კი ბრენტ-ის მარკის ნავთობის ფასმა 55 ცენტით მოიკლო და ბარელზე 65,91 დოლარი შეადგინა. ამჟამად ნავთობის ფასი 5 დოლარით იაფია ვიდრე შარშან, როცა დამანგრეველმა ქარიშხალმა ამერიკის ნავთობმოპოვება შეაფერხა და "შავი ოქროს" ფასმა სარეკორდო მაჩვენებელს - ბარელზე 70,85 დოლარს მიაღწია.

## გაზპრომისათვის" მიცემული გარანტიები გადაიხედება

გერმანიის ყოფილი კანცლერის გერჰარდ შრიოდერის მთავრობის მიერ რუსული კომპანია "გაზპრომისათვის" მიცემულ 900 მილიონი ევროს (1,09 მილიარდი დოლარი) ოდენობის საკრედიტო გარანტიებს ქვეყნის პარლამენტი გადახედავს. ამჟამად აღნიშნულ საკითხს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი სწავლობს. აღნიშნულ გარანტიები რუსულ მხარეს მას შემდეგ მიეცა, რაც შრიოდერი და პუტინი ბალტიის ზღვის აკვატორიის გავლით ჩრდილოევროპული გაზსადენის შექმნაზე შეთანხმდნენ. აღნიშნულ პროექტს რუსულ გაზპრომთან ერთად, რომელსაც გაზსადენის აქციების 51 პროცენტი ეკუთვნის, გერმანული კომპანიები: E.ON და BASF ახორციელებს (თითოეული აქციების 24,5 პროცენტს ფლობს). ამ პროექტის განხორციელების მთავარი მიზანი რუსული გაზის დასავლეთ ევროპისათვის ტრადიციული სატრანზიტო ქვეყნების - უკრაინა, ბელორუსი და პოლონეთი - გვერდის ავლით მიწოდებაა.

## TOSHIBA -ს ახალი DVD ფლეერები

ელექტრო საქონლის მწარმოებელმა იაპონურმა კომპანია "TOSHIBA CORP"-მა ახალი თაობის DVD ფლეერები წარმოადგინა. აპარატურის ღირებულება 940 აშშ დოლარი იქნება. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ახალი HD DVD აპარატურა კომპანია `SONY"-ის მიერ "BLU-RAY" ტექნოლოგიებით წარმოებულ აპარატურას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. ახალი HD DVD საშუალებას იძლევა გაზარდოს იმ ინფორმაციის მოცულობა, რომელსაც დისკი ინახავს. "TOSHIBA" ახალ პროდუქციას ამერიკის შეერთებულ შტატების ბაზარზე აპრილში გაიტანს. მისი ღირებულება ამერიკულ ბაზარზე 499-799 აშშ დოლარი იქნება. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ "TOSHIBA` 2006-2007 წლებში 600-700 ათას ახალ აპარატს გაყიდის.

## ამერიკაში სახიფათო კონსტრუქტორები აღმოაჩინა

სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების ამერიკულმა კომისიამ ნიუ-ჯერსის კომპანია "Rose Art Industries" გაყიდვიდან 3,8 მილიონი სათამაშო კონსტრუქტორის ამოღება მოსთხოვა. ამის მიზეზად კი სახელდება ის 34 შემთხვევა, როცა კონსტრუქტორებში გამოყენებულმა მაგნიტებმა მომხმარებელ ბავშვებს სერიოზული დაზიანებები მიაყენეს. მათ შორის არის ორი წლის ბავშვი, რომელსაც კონსტრუქტორის მაგნიტი გადაეყლაპა და კუჭ-ნაწლავის მწვავე კატარაქტის შედეგად დაიღუპა. ასევე იყო შემთხვევები, როცა ბავშვებს სასუნთქ გზებში კონსტრუქტორის პატარა ბურთები გადაცდათ და დაიღუპნენ. საქმე ეხება "Magnetix"-ის კონსტრუქტორებს, რომელთა შემადგენლობაშიც სხვადასხვა ფორმის პლასტმასისა და მეტალის 12 მილიმეტრიანი დეტალები შედის, რაც სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების კომისიის აზრით მცირეწლოვანი ბავშვებისთვის საშიშია. უსაფრთხოების კომისია მომხმარებლებს აღნიშნული კომპანიის სათამაშოების ყიდვისგან თავის შეკავებას ურჩ-